№ 33
ოთხშაბათი,
7 ოქტომბერი
1909 წ.

# მომავალი

№ 33
ოთხშაბათი,
7 ოქტომბერი
1909 წ.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთის ფასი:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 **ოქტომბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 2 მ. 20 კ. თფილისს გარეთ 2 მან. 50 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც).

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს—მდე 3 მ. ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე. რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:** რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.

**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**

Тифлисъ, тип. „Шрома“, **Калистрату Конст. Цуладзе.**

## თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლი და სამშობიარო განყოფილებით.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი № 7, „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ბალარჯევი გ. დ.** შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. $10^1/_2$—11.

**გურკო ა. გ.** შინაგანი, შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი ა. ა.** კანისა და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს

**მადლაშვილიძე გ. გ.** შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12.

**მანსვეტაშვილი გ. მ.** შინაგანი. ორშ. ხუთშ. და შაბ. 1—2.

**მელიქიშვილი ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1.

**მუსხელიშვილი გ. ს.** თვალის, ორშაბ, ოთხშ. და პარსკ. 2—$2^1/_2$ ს.

**პირადოვი რ. ბ.** ქირურგ. ყოველ დღე 11—12 ს.

**პოპოვი ბ. ა.** ყურის, ყელის და ცხვირის ყოველ დღე, გარდა პარ. 2—$2^1/_2$ ს

**რცხილაძე ნ.** კბილ. ყოვ. დღ. 9—11.

**სობოლევსკი გ. ზ.** ქირურგ. ყოველ დღე 9—11 ს.

**თიკანაძე ი ე.** დედაკ. საბებიო ყოველ დღე 1—2 ს.

**ფედოროვი ე. გ.** მიკრ. ქიმ.-ბაქტ. გამოკვლევა. (100—6—5)

## ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ს. ვაშაკიძე** კბილის ავათმყ. ყოველ დღე 9—10 ს.

**ექ. ი. გომართელი** ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. ა. ნ. დიასამიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ბ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** სამშაბათს, ხუთშაბ. და შაბათს 2—$2^1/_2$ ს.; თვალის ავათმყოფ.

**ექ. ე. გ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—75)

წარმოდგენა № 4. წარმოდგენა № 4.

## ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 8 ოქტომბერს,** ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველათ ახალი პიესა გ. ზაპოლსკაიასი

I.

## ფარისეველი

ტრაგი-კომედია 3 მოქმედებათ ოთარგმანი ვ. აბაშიძისა.

II.

## დამბაჩა და რევოლვერი

ვოდ. 1 მოქმედებათ კ. ნასიძისა.

**არდგენენ:** ქ-ნნი—ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, მ. ქილარჯიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ი. ივანიძე, კ. მესხი, ვ. ურუშაძე ი. ზარდალიშვილი.

**ადგილების ფასი:** ლოჟები—10 მ. 50 კ. 5 მ-დე; პარტერი—2 მ. 50 კ. 60 კ-მდე; გალერეია— 40კ.—20 კ-მდე; მოწაფეთათვის 40 კ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ: „აი გიდი მეგობრებო“, „ღალატი“.

მორიგი რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე**

**დრამატიული საზოგადოების ადმინისტრაცია.**

თფილისის სახაზინო თეატრი

სათეატრო ამხანაგობა ანტ. ეიხენვალდის გამგეობით დღეს **ფაუსტი** შარლ გუნოს და ვალპურგის ღამე. მუსიკალურ ნაწილს განაგებს ნ. ა. მიკლაშევსკი; სასცენოს—ანტ. ეიხენვალდი. თანამშრომელნი: ქ-ნნი ვოლსკისა, ელაგინა, ჩუდგინა; ბ-ნნი გალეცკი, დემიანენკო, ევლახოვი და კორჩმარევი.

**ფასები ჩვეულებრივია** **დასაწყისი საღამოს 8 საათზე**

ხვალ „**კნიაზ იგორ**“ ა. პ. ბოროდინისა. მზადდება წარმოსადგენათ „ანდრიენა ლეკუვრერ“-ჩილეას.

(0—1)

**ნაფიცი ვექილი**

სერგეი დ. ჯაფარიძე

**ქუთაისიდან გადავიდა თფილისში**

ბორსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11.

(სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს)

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა

ახალი წიგნი კ. პ. კანდელაკისა.

## კოოპერაცია

(თეორია, ისტორია და პრაქტიკა).

**კბილის ექიმი**

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის № 71 (ცირკის ქუჩის ახლოს).

**კბილის ექიმი**

## ს ვაშაყმაძე

აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავათმყოფებს ღებულობს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დამართი, სახლი № 15.

**კბილის ექიმი**

## ს. ა ცეიტლინი

კბილის და და პირის ავათმყოფობანი. ხელოვნური კბილები. ავათმყ. მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. მიხეილის პრ., ს. № 22 (სემიონოვის ქ. კუთხე, № 3). შესავალი სემიონოვის ქ. (10—8)

## იაფათ

იყიდება **ს. ნიგოითში** (გურიაში) რკინის გზის სადგურის ახლოთ საუცხოვოთ მორთულ-მოწყობილი სამოსახლო: დიდი ეზო, 5 ოთახიანი ოდა—სახლი, დიდი სამზარეულო სახლი, 2 ბეღელი, 2 სასიმინდე კარგათ მოწყობილი წისქვილი, წყლის ჩამური და სხვა საოჯახო შენობები. ეზოში დარგულია სხვა და სხვა კარგი ჯიშის ხეხილები. აღმოსავლეთით აკრავს 15 ქცევიანი მთა-ადგილი, ვენახით და ხეხილებით გაშენებული, კარგი ჰაერით და სახნავ-სათესით. სამი მხრიდან ჩაუვლის ფართე საურმე შარა-გზა.

პირობების გაგება შეიძლება ს. ნიგოითში მღვდელ ე. კალანდარიშვილთან და თფილისში, „მომავალის“ რედაქციაში.

0—თ—1

**ქ. თელავში**

1-ვედ ოქტომბრიდან იყიდება პირველად აგმოსული ქართულ ენაზე წიგნი

## ჭრა-კერვის

თვით მასწავლებელი 128 ნახატებით

**ახალი მეთოდი.**

ექვს ნაწილათ: ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება.

შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის-მიერ.**

ფასი ყდით 3 მან. და გაგზავნითაც 3 მ. 50 კაპ. ათი ცალის ან მეტის ერთათ წიგნის გამომწერს ფოსტის გაგზავნის ფული არ გადახდება.

ადრესი: г. Телавъ, Софьѣ Іосифовнѣ Симоновой. Бульв. пер. 2, собств. домъ.

5—3.

## ადგილობრივი პრესა

—

გუშინ დაიწყო თფილისის საგუბერნიო თათბირი ერობის შემოღების შესახებ. როგორც „დროება“ აღნიშნავს, საგუბერნიო თათბირი არ არის ნამდვილი წარმომადგენლობითი დაწესებულება, ისე, როგორც არ იყო წინასწარი თათბირი. შედგენილობა თათბირისა წინდაწინვე დანიშნულია და არჩეული ადმინისტრაციისაგან და მას მხოლოდ რჩევის ხმა აქვს და არა გადამწყვეტი. მიუხედავათ ამისა საგუბერნიო თათბირს მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. „დროება“ არკვევს საგუბერნიო თათბირის მომავალ მუშაობას და ამბობს:

„საკითხის ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა გვეუბნებიან, რომ აწინდელი დამახინჯებული ადგილობრივი თვითმართველობა უარყოფილი იქნება, თუნდაც ბიუროკრატიის და რუსეთის „ზუბრებს“ (ადგილობრივს კიდევ—დავუმატებთ ჩვენ). ეს არ უნდოდეთ. მეორეს მხრით, საზოგადოებრივი დაწესებულება ყოველ შემთხვევაში მოვალეა საზოგადოებრივი აზრის გამომხატველი იყოს და უნდა სთქვას ერობის შესახებ ის, რაც მოწინავე საზოგადოების, ხალხის და პრესის სურვილი იყო გუშინაც და არის დღესაც ჩვენში, ე. ი., უნდა აღიაროს, რომ ამიერ-კავკასიის მომავალი ერობა უთუოთ უნდა აიგოს დემოკრატიულ პრინციპებზე“ („დრ.“ № 219).

აქ „დროება“, რასაკვირველია, მართალს ამბობს და ჩვენც სავსებით ვეთანხმებით, მარა არ შეგვიძლია დავეთანხმოთ, იმაში, ვითომ „მოწინავე საზოგადოების, ხალხის და პრესის სურვილი“ ეთანხმებოდეს იმ წინასწარი თათბირის ოქმებს, რომელშიაც „დროების“ გადმოცემით სწერია:

„რაც შეიძლება მცირე ცენზი, რომელიც გვაახლოვებს საყოველთაო საარჩევნო უფლებას“.

მოწინავე საზოგადოებისათვის, ხალხისთვის არავის არაფერი უკითხავს, მათ არა ყავთ კანონიერი წარმომადგენელი დღევანდელ თათბირში, მაგრამ „დროება“-საც და აგრეთვე დღევანდელი თათბირის შემადგენელ წევრებსაც უნდა ახსოვდეთ, რომ მოწინავე საზოგადოებამ და ხალხმა, როცა ამის საშვალება ქონდა, ხმამაღლა და ყველას გასაგონათ უარყო ყოველგვარი ცენზი, როგორც პატარა, ისე დიდი და მოითხოვა საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და საიდუმლო არჩევნები. ამასვე მოითხოვს ხალხი დღესაც, და, დღევანდელი სათათბირო მოვალეა ყურად იღოს ეს ხალხის ხმა და სათანადო ანგარიში გაუწიოს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, როგორც „დროება“ სამართლიანათ შენიშნავს:

„იგი ცუდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ქვეყანას და მისი ხსენებაც შავათ აღიბეჭდება ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიაში“.

—

საგუბერნიო თათბირს ესალმება გაზეთი „ზაკავკაზიე“-ც:

„ჩვენ ვესალმებით ამ თათბირს იმიტომ, რომ ის აღვიძებს საზოგადოებრივ აზრს და პოპულარულს ხდის საერობო თვითმართველობის იდეას ხალხის ფართო მასსაში. ‹…›დეე ყველა დელეგატები გაიმსჭვალონ იმ უმაღლესი მოვალეობის შეგნებით, რომელიც კისრათ აძევთ მათ“.

ამიტომ იმავე „ზაკავკაზიეს“ აზრით:

„საზოგადოების რჩეულები არ უნდა ხელმძღვანელობდენ არც კლასობრივი ინტერესებით, არც წოდებრივი განსხვავებით და არც ნაციონალური განკერძოებით“.

ე. ი. „ზე-კაცათ“ უნდა გადაიქცენ. ხოლო, თუ როგორ მოახერხებენ ამას ეს ადმინისტრაციის მიერ მოწვეული „საზოგადოების რჩეულნი“, ამის ჯადოქარი ალბათ, „ზაკავკაზიე“-ს რედაქციაში ზის და გაიქნევს თუ არა თავის გრძნეულ ჯოხს, ხელათ დაივიწყებენ ეს სამღვდელოების, მემამულეების და ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენელნი თავის კლასობრივ ინტერესებს! „ზაკ.“ არც მთავრობას ივიწყებს:

„ჩვენ ვესალმებით მთავრობასაც, რომელმაც დაიწყო საზოგადოების შეხედულების (!) და სურვილის (!) ანგარიშის გაწევა“.

ეს როდის აქეთ ნეტავი?

—

მეორშაბათე „ივერიას“ ერობისა და სხვა ასეთებისათვის არ სცალია. მას მოსვენებას არ აძლევს ის აზრი, რომ სოციალდემოკრატია ჯერ კიდევ არსებობს და დროგამოშვებით მაინც სიცოცხლის ნიშნებს იჩენს. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ „ივერია“ და მისი ჯგუფი არავითარ საშუალებას არ ერიდება ს.-დ. ბრძოლაში, მაგრამ თუ მათი ურცხვობა აქამდის მივიდოდა, როგორც ამას სჩადის „ივერიის“ სულის ჩამდგმელი და ხელმძღვანელი ბ. კ. თუმანიშვილი, ეს კი ვერ წარმოგვედგინა. „ივერიის“ მე 40 ნომერში ბ. კ. თუმანიშვილი სწერს:

„ერთობის“ დროს სოც.-დემოკრატებმა ნამდვილი აჟენ-პროვოკატორების როლი იკისრეს ჩვენში, ხალხი საბრძოლველათ გამოიყვანეს მაშინ, როდესაც ხალხს ბრძოლისათვის საკმარისი მომზადება არ ქონდა და ამ საიათ ხალხის საშინელი დამარცხება გამოიწვიეს“.

ბ. კ. თუმანიშვილი ამითაც არ კმაყოფილდება. მაშინდელ მეთაურებს ეძებს და მათ დაფასებას იწყებს. ის აქამდის მიდის, რომ წარბ შეუხრელათ აცხადებს: ამ მეთაურებში ერია ნ. ჟ—ც, რომელიც სხვაზე მეტათ უვიციიყო და სხვადასხვა...

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბ. კ. თუმანიშვილის ასეთი გამოძიება-კამათი სავსებით გადადის ლიტერატურული პოლემიკის ყოველგვარ საზღვრებს. ამას ეძახიან „ლიტერატურულ სისკს“, ამიტომ, თავის თავათ ცხადია, რომ ასეთ «ლიტერატურულ მოწინააღმდეგეს»—ანგარიშ არავინ არ გაუწევს და ზიზღით გვერდს აუვლის მისი პოლემიკის ყველა ამგვარ „მშვენიერებას“.

## კიდევ ვისი ბრალია?

(გაგრძელება)

თუ საქართველოში მთავრობა მით დაკმაყოფილდა, რომ ბატონ-ყმობა რუსეთის აბსოლიუტიზმის ბურჯათ აქცია და მის ინტერესებს დაუმორჩილა, ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილებში მთავრობამ პირდაპირ შეიტანა ბატონ-ყმობა.

ჩვენ კანონ-პროექტში ეს აზრი ასეა განმარტებული: „მიწის ექსპროპრიაცია მებატონეების სასარგებლოთ ანუ ბატონყმობის რეფორმა ამიერ კავკასიაში მთავრობამ დაიწყო მუსულმანთა პროვინციებიდან. ამ რეფორმის შესახებ კუჩაევი, ჩინებული მცოდნე ამიერ-კავკასიის გლეხთა იურიდიული მდგომარეობისა ამბობს:

„თანახმათ მაჰმადის მოძღვრებისა მიწა ალლახის მიერ ნაბოძვარია და არვის საკუთრებას არ შეადგენს. იგივე მოძღვრება უარს ყოფს მართლ-მორწმუნეთა პირად უთავისუფლობას, ამიტომაც გლეხები მუსულმანთა პროვინციებში თავისუფლათ სარგებლობდენ მიწით იქ, სადაც ცხოვრობდენ და როცა აქ თუ იქ ცხოვრება ხელსაყრელი არ იყო, ისინი დაუბრკოლებრივ გადასახლდებოდენ ხოლმე უფრო სასარგებლო და ხელ საყრელ ადგილებში. თუ არსებობდა დამოკიდებულება აქაურ გლეხთა და პრივილეგიოსან წოდების შორის, ეს დამოკიდებულება იმაში მდგომარეობდა, რომ ბეგები და აღალარები სარგებლობდენ უფრო ხშირათ დროებით უფლებით, რომლის ძალითაც ღებულობდენ გლეხებისაგან გადასახადს; ეს უფლება მათ ეძლეოდათ ჩვეულებრივ ხანებისაგან. ნაცვლათ ასეთი უფლებისა, ბეგებს უნდა აღესრულებიათ მმართველ-გამგის მოვალეობა იმ ადგილებში, რომელნიც ექვემდებარებოდა ამა თუ იმ ხანს. აი, ამ პოლიციური თანამდებობის ასრულების გულისათვის ბეგს ნება ეძლეოდა გლეხებისაგან აელო ნაწილი იმ გადასახადის, რომელიც გლეხს ხაზინაში შექონდა.

კერძოთ ყარაბახში მაგალითათ, როგორც სპარსეთში, ხსენებაც კი არ ყოფილა ბატონ-ყმობის ყარაბახის ხანის მეხტი-კულის დრომდე. ეს ხანი იმდენათ ჩაიფლა აზიურ განცხრომა-ფუფუნებაში, რომ სრულიათ ხელი აიღო სამფლობელოს მართვა-გამგეობის საქმეებზე. ეს მან თავის ახლობლებს მიანდო და ბეგის წოდებაც (ტიტული) უბოძა. ეს ბეგები ძარცვა-გლეჯის უფლებაზე ამყარებდენ ჩაბარებული სოფლების გამგეობის საქმეს და ხანს ნაძარცვ-ნაძალადევიდან უზიარებდენ ფულს თუ პურს. როგორც ხანის ყველა ღრამოტებიდან ჩანს, ბეგებს სოფელს აძლევდა ის არა იმ პირობით, რომ მათაც და მათ შთამოებასაც ესარგებლნა ამ სოფლით; სოფელი ქონდა მიცემული განსაზღვრულ პირს ჯამაგირის ნაცვლათ და ისიც მხოლოთ იმ დრომდის, სანამ იგი სამსახურში იმყოფებოდა; ხოლო აქაც ასეთ პირს ეძლეოდა არა გლეხები, არამედ მიწის შემოსავალი, რომლებზედაც გლეხები მუშაობდენ... (Записка К. О. Зубарева о Карабахской провинціи 1830 г. матеріалы т. с. Тихеева, т. VI стр. 383).

ამიერ-კავკასიის გუბერნიების დაპყრობის შემდეგ, სადაც მუსულმანები ცხოვრობდენ, რუსის მთავრობამ სრულიად ხელშეუხლებელი დასტოვა ადგილობრივი წესები. 1840 წლის ადმინისტრატიული რეფორმის შემდეგ უმაღლესის ბრძანებით 28 მაისს 1841 წელს აღალართ ჩამოერთვათ სოფლების მართვა-გამგეობის საქმე და შემოსავლის მაგიერ, რომელსაც ისინი ღებულობდენ, მათ დაენიშნათ განსაზღვრული ჯამაგირი სიკვდილამდე.

იმ სოფლებში კი, სადაც სომხები სახლობდენ, გლეხებს და აღალარებს სრულიათ უნაზღაურლოთ ჩამოერთვათ მართველობის თანამდებობა.

მუსულმანთა ბატონებს შორის ამ ზომამ უკმაყოფილება გამოიწვია. ბეგები, „ეს ხანების მეჯინიბეები და კარის კაცები,“—სწერს პროფესორი ეგიაზაროვი „დაუახლოვდენ რუსეთის აზნაურობას, მოინდომეს ლენდ-ლორდებათ გახდომა“.

ნამესტნიკი ვორონცოვი სრულიათ თანაუგრძნობდა მუსულმანთა ბეგების და ხანების მებატონეებათ გახდომის ლტოლვილებას. 1846 წლის უქვეშევრდომილეს მოხსენებაში თავადი ვორონცოვი ამტკიცებდა: ამ ქვეყანაში დემოკრატიული ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საჭიროა არისტოკრატიული ნაწილის გამაგრება; ამიტომაცო, ამბობდა ნამესტნიკი, მელიქებს, ბეგებს და აღალარებს უნდა მიეცეს საკუთრებათ ის მიწები, სადაც ისინი წინეთ იყვენ მართველებათ; გარდა ამისა მათვე უნდა დაუქვემდებაროთ ის გლეხები, რომელნიც ცხოვრობენ ამ მიწებზეო.

პეტერბურგში ვორონცოვის პროექტს წინააღუდგა მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტერი გრაფი ბლუდოვი და სახელმწიფო ქონებათა მინისტრი გრაფი კისელევი. მათი აზრით ვორონცოვის წინადადება ყოველის მხრით უკანონო იყო. ბოლოს მაინც გაიმარჯვა ვორონცოვმა: თანახმათ უმაღლესი რესკრიპტისა (1846 წ.) აღმოსავლეთ კავკასიის მიწები, სადაც სახლობდენ ან სადაც ჯერ კიდევ არ დასახლებულიყვენ გლეხები, იმ დროიდან უნდა დამტკიცებოდათ ხანებს, ბეგებს, მელიქებს სომეხთაგან და აღალარებს საშვილიშვილოთ. ასეთნაირათვე უნდა გადაცემოდათ ეს მიწები მუსულმანთა უმაღლეს წოდების იმ პირებსაც კი, რომლებიც ჩოლალატეებათ იყვენ ცნობილნი (სპარსეთს მიემხრენ). ამასთანავე ნამესტნიკს დაევალა შესდგომოდა მუსულმანთა უმაღლეს წოდების პირად უფლებათა განსაზღვრას იმ უფლებების შეხამებით, რომლებითაც აღჭურვილი იყო რუსეთის კეთილშობილი აზნაურობა.

ქ. ჩხეიძე.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 ოქტომბერი.

### სპარსეთი

**თავრიზი.** აგარაკიდან დაბრუნებული ექიმ ნესმიანოვის სიტყვით რახიმ-ხანი გულის ტკივილით ყოფილა ავათ. მიუხედავათ ამისა მას ცხენოსანი რაზმით არდებილზე გაულაშქრებია.

### საზღვარ-გარეთ.

**მადრიდი.** ოდონ-დობუენმა სენატში განაცხადა, მთავრობას საშვალება ქონდა საზღვარგარეთ ისპანიის დროშა შეურაცყოფიდან დაეცვაო. ილენ-დე-სალაზარმა მიუგო, რომ ის ელემენტები, რომელნიც ჩვენ საზღვარ-გარეთ პროტესტს გვიცხადებენ, ისპანიის კანონებს არ სცნობენო.

ბარცელონის პროკურატურამ სენატს თხოვნით მიმართა, ნება მოგვეცით პასუხისგებაში მისცეთ სენატორი სალვიორ-პეგა, რომელიც ბარცელონის აჯანყების ინიციატორათ ითვლება. ის აქეზებდა აგრეთვე ხალხს, რომ იეზიუტების სახლები და სასწავლებლები დაეწვათო.

**პარიზი.** გუშინ ისპანიის საელჩოს გარშემო მდებარე ბაღებს იცავდა ძლიერი პოლიციელთა რაზმი, რესპუბლიკანური გვარდია, კავალერია და ქვეითი ჯარის რაზმები. გუშინ გამართულ დემონსტრაციაში პირველ რიგში მიდიოდენ პარიზის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი წევრები და სოციალისტი დეპუტატები. ტიულერის ბაღში დემონსტრანტების ჯგუფმა მღვდელი გალახა, შემდეგ პოლიციელი დასჭრეს რევოლვერით. დაატუსაღეს 7 კაცი.

**პარიზი.** პროვინციალურ ქალაქებიდან პარიზში დეპეშები მიიღეს, რომ იქ დემონსტრაციები გაუმართავთ ფერერის სიკვდილით დასჯის გამო, ზოგიერთ ადგილებში პოლიციელებთან სერიოზული შეტაკებაც მოსვლიათ.

**ბრიუსელი.** შუადღისას 4,000 სოციალისტმა და თავისუფალ მოაზრემ ქალაქის ქუჩებზე დემონსტრაცია მოახდინეს. შემდეგ გაშლილ მოედანზე მიტინგი გამართეს. წესიერება არ დარღვეულა.

**ბერლინი.** დღისით სამი კრება გაიმართა, რომელიც სოციალდემოკრატებმა დემონსტრატიული მოსაზრებით გამართეს. კრების დარბაზები ისე იყო ხალხით გაჭედილი, რომ ბევრი იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო. ერთ კრებაზე რეიხსტაგის დეპუტატმა ფიშერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც სასტიკათ გაკიცხა ისპანიის მთავრობის მოქმედება. ყველა კრებებზე საპროტესტო რეზოლიუციები გამოიტანეს, ყველა კრებებზე დამსწრენი ერთხმათ ზიზღს უცხადებდენ ისპანიის მთავრობას ფერერის დასჯის გამო. წესიერება არსად არ დარღვეულა. კრების შემდეგ ხალხს სურდა დემონსტრაცია გაემართა, მაგრამ პოლიციელებმა ხელი შეუშალეს. მათ ხმლები იშიშვლეს, თუმცა არავინ დაუჭრიათ. რამოდენიმე კაცი დაატუსაღეს.

**რომი.** მეფის მოსვლის გამო სოციალისტურმა პარტიამ მოწოდება გამოუშვა. ყველა გაზეთები პროტესტს აცხადებენ სოციალისტების მოწოდების წინააღმდეგ.

დეპუტატი ბარზილაი სერიოზულათ კიცხავს სოციალისტებს, აღნიშნავს მეფის მოღვაწეობას და დასასრულ ურჩევს სოციალისტებს თავიანთ ქანიანობას თავი გაანებონ თუ არ სურთ, რომ სოციალიზმის მომავალ ისტორიაში ეს ფაქტი სასირცხვოთ იყოს აღნიშნული.

**კოპენჰაგენი.** მეფემ მიიღო სახელმწიფო დაცვის მინისტრის, ხრინტენსენის სამსახურიდან გასვლის ქაღალდი და მინისტრ-პრეზიდენტ გრაფ გოლშტეინს მიანდო დროებით სახელმწიფო დაცვის მართვა.

**ვენა.** მეფემ ვენაში უმაღლესი საბჭო მოიწვია, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობენ ყველა ვენგრიელი მინისტრები. მიზნათ აქვთ, შეეცადონ ჯვერკელეს კაბინეტის დარჩენას, ვინაიდან ვერკელე სამსახურს თავს ანებებს.

**პარიზი.** ავიატორი ლამბერგი რაიტის სისტემის ჰაეროპლანით გაფრინდა. ის ჟიუვიზიდან პარიზში მივიდა, ორჯერ შემოუარა ეიფელის კოშკს და უვნებლათ ისევ ჟიუვიზში დაბრუნდა.

**ჟიუვიზი.** გაჯიბრების დროს ავიატორი ბლანკი ბლერიოს მონოპლანით გაფრენას აპირებდა. ვარჯიშობის დროს მონოპლანი ძირს ჩამოვარდა. მძიმეთ დაშავდა ერთი ქალი, ოთხი მაყურებელი კი—მსუბუქათ.

### რუსეთი

**პეტერბურგი.** კაზანის საკრებულო ტაძარში რამოდენიმე ათას მოსწავლეთა და გარეშე მლოცველთა თანადასწრებით გადახდილ იქნა პანაშვიდი პოეტ კოლცოვის სულის მოსახსენებლათ.

**ოდესა.** მოხდა რუსეთ-ინგლისის სავაჭრო პალატის წევრთა კრება. არჩეულ იქნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც უნდა მოაწყოს პალატის ადგილობრივი განყოფილებანი.

**ნიკოლაევი.** გუშინ საღამოს 7 საათზე კავაგუჩის მაღაზიას თავს დაესხა 9 პირშემურული ყაჩაღი. ყაჩაღებმა მოკლეს პოლიციელი, რომელიც მათ დაედევნა და თავს უშველეს.

**კიევი.** კიევში გაიხსნა 9 დასავლეთის გუბერნიის რუსთა მცხოვრების წარმომადგენელთა სიეზდი. მოხდა სიეზდის კომიტეტის სხდომა, რომელზედაც შეიმუშავეს სიეზდის წეს-რიგი. აირჩიეს პრეზიდიუმი. სიეზდის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა სახელმწიფო დუმის წევრი საზონოვიჩი. კრებას დაესწრო 80-მდე გამოჩენილი წარმომადგენელი.

**პეტერბურგი.** გუშინ ფონტანკაზე მეეზოვე კოტოვიჩის ბინაზე ნახეს ლოგინში გახვეული ვიღაც ფეოდოროვის გვამი. ფეოდოროვს თავის ხავი მოძრობილი აქვს, თვალის ქუთუთოები და ცხვირი მოჭრილი და კბილები ჩამტვრეული. ფეოდოროვის ბინაზე წინა დღით ორი უცნობი კაცით მისულა. უცნობებს მოსამსახურისათვის ფული მიუციათ და პავლოვსკის ვოგზალზე გაუგზავნიათ ფეოდოროვის ნივთების მოსატანათ. მოსამსახურეს ვოგზალზე ნივთები ვერ უნახავს და როდესაც უკან დაბრუნებულა ფეოდოროვი მოკლული უნახავს. მოსამსახურეს ეს ამბავი პოლიციისათვის უცნობები. უცნობნი უკვალოთ დაკარგულან.

**პერმი.** სადგურ კუშვაზე, პერმის გზაზე, ორი საქონლის მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. დაიმტვრა რვა ვაგონი, „პარავოზები“ ძალიან დაზიანდენ. ადამიანთაგან არავინ დაშავებულა. გადარჩა აგრეთვე ვაგონი, რომელშიაც 480 ფუთი დინამიტი იყო.

**ვარშავა.** პარაკლისის შემდეგ ოლქის მზრუნველმა გახსნა უმაღლესი საქალებო კურსები. სამ ფაკულტეტზე მიღებულია 336 მსმენელი ქალი.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნდა უმაღლესი უქაზი სენატისადმი, რომ ხუთი, ათი და ოცდა ხუთი მანეთის ღირებულების ქაღალდის ქაღალდები ახალი ფორმის ქაღალდის ფულებით იქნეს შეცვლილი; აგრეთვე გამოცხადდა სენატისადმი განკარგულება, 1909 წელშივე გამოშვებულ იქნეს ახალი ფორმის 10 მანეთიანი ქაღალდის ფული.

— გრაფი ქუთაისოვი დაინიშნა ვოლინის გუბერნატორათ.

**მინსკი.** საგუბერნიო საეროზო კრებამ გლეხებისათვის აგრონომიული დახმარების აღმოსაჩენათ გადასდო 22 ათასი მანეთი. დაადგინეს მიღებულ იქნას სხვადასხვა ეკონომიური ღონისძიებანი მეურნეობის გასაუმჯობესებლათ. ამ ღონისძიებათა განსახორციელებლათ აირჩიეს განსაკუთრებული კომისია.

**ვერხნე დნეპროვსკი.** საეროზო კრებამ დაადგინა მომავალი სამოსწავლო წლიდან შემოიღოს ოთხი წლის სწავლების კურსი იმ სასწავლებლებში, სადაც ორი მასწავლებელი არის.

**ბორზნა.** საეროზო კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ ნება მიეცეს ერობას ვაჟთა და ქალთა გიმნაზიები გახსნას.

**ბათომი.** ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის მხრით კუდიანი ქარი შეამჩნიეს ზღვაზე.

**ტულა.** ტულაში მოქმედება დაიწყო სწრაფი საექიმო დახმარების ორგანიზაციამ. ადგილობრივმა ექიმებმა სურვილი გამოსთქვეს ღამ-ღამობით უსასყიდლო მორიგეობაზე.

**კიევი.** ჩიგირინის სატუსაღოში სეირნობის დროს ტუსაღებმა ზედამხედველებს იარაღი აყარეს. ერთი ტუსაღი გაიქცა, მაგრამ ქალაქში პოლიციელმა მოჰკლა, მეორე დასჭრეს. ზედამხედველებმა ტუსაღები დააწყნარეს იარაღის საშვალებით. არეულობის მეთაურმა თავი მოიკლა.

**პეტერბურგი.** ვარშავის ვოგზალზე უცნობი კაცი დაიჭირეს. ის ფონტანკაზე მომხდარ საიდუმლო მკვლელობის ერთი მონაწილეთაგანი ჰგონიათ.

**მოსკოვი.** ოქტომბრისტების სიეზდი. ოქტომბრისტთა გუშინდელი კრება გაიხსნა ბარონ მეიენდორფის სიტყვით განსაკუთრებულ წესების შესახებ, რომელთაც ორატორი შეეხო იურიდიული და ზნეობრივი მხრით და ამტკიცებდა, რომ განსაკუთრებული წესები—ეს პასუხია ძალისა ძალაზე. განსაკუთრებული წესების მოქმედება სრულებით არ უნდა გადადიოდეს მასსაზე, რომელსაც ტერორთან არავითარი კავშირი არ აქვს. ტერორის მოსპობისთანავე, განსაკუთრებული წესებიც მოისპობიან. ანრეპმა წაიკითხა მოხსენება ყველასათვის ხელმისაწვდომ განათლებაზე; მან აღნიშნა სკოლის ძირითადი საჭიროებანი და მთავრობის მასთან დამოკიდებულება; სახალხო განათლება საზოგადოებისადმი ნდობაზე უნდა იყოს დაფუძნებული, უამისოთ ერთი მეორეს საწინააღმდეგო მოქმედებას მივიღებთ: ხან ეგზამენების მოსპობას, ხან მათ ხელახლა შემოღებას. სხვათა შორის ორატორმა სთქვა, რომ მან საოლქო მზრუნველათ ყოფნის დროს დიდი ვნება მოუტანა სახალხო განათლების საქმეს არსებული სისტემის წყალობით. კაპუსტინმა ილაპარაკა უმაღლესი სკოლის რეფორმაზე და მეცნიერების თავისუფლების შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში. კოვალენსკიმ მოხსენება წაიკითხა საყოველთაო განათლებაზე. გუჩკოვმა განაცხადა, დელეგაცია მოვიდა მოხსენების წასაკითხავათ, რომ ხოლმის რუსეთი ცალკე გუბერნიათ იქნას გამოყოფილი. შემდეგ სხდომაზე განხილულ იქნა ოქტომბრისტთა ფრაქციის მოქმედება მესამე დუმაში. დელეგატმა ჩისტიაკოვმა განაცხადა, ფრაქციის მოღვაწეობაზე თვალს არ ვხუჭავ, მაგრამ ისიც არ შემიძლია უყურადღებოთ დავტოვო, რომ რუსეთში როგორც მესამე დუმით, აგრეთვე 17 ოქტომბრის ფრაქციითაც ძალიან უკმაყოფილონი არიან. ჩისტიაკოვს რეზოლიუცია შეაქვს, სადაც ნათქვამია: მესამე სიეზდი თანაგრძნობას უცხადებს ოქტომბრისტთა საპარლამენტო ფრაქციას მისი მოქმედებისათვის და სურვილს გამოსთქვამს, რაც შეიძლება დაჩქარებით შეტანილ იქნას დუმაში განსახილველათ კანონ-პროექტი რუსეთის მოქალაქის თავისუფლებაზე და ღირსებაზე, რომელიც 17 ოქტომბრის მანიფესტშია აღნიშნული. რეზოლიუციის კენჭის ყრა შემდეგი სხდომისათვის გადაიდო.

### ხ ო ლ ე რ ა.

**პეტერბურგში** ხოლერით დღე-ღამეში ავათ გახდა 22, მოკვდა 9, ავათ არის 322. ქალაქ გარეთ ავათ გახდა 1, მოკვდა 2, ავათ არის 31. კამიშინის მაზრაში (სარატოვის გუბერნია) ერთი კვირის განმავლობაში ავათ გახდა 14, მოკვდა თერთმეტი.

# უკანასკნელი ფოსტა

### რუსეთი.

**ტოლმაჩევის მდგომარეობა.** ბიუროკრატიულ წრეებში თვალ-ყურს ადევნებენ გენ. ტოლმაჩევის მოქმედებას, რომელიც ბევრს ცდილობს თავისი შერყეული მდგომარეობა რაიმე ნაირათ გაამაგროს. ამ მიზნით ის ბევრი ეცადა

---

## „წითელი კვირა“ გერმანიაში.

### ლეიპციგის პარტეიტაგი

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

(დასასრული).

დასრულდა ლეიპციგის—ეს „სკანდალისა და ახალი სერიი“-ს პარტეიტაგი, როგორც ამას ბურჟუაზია ელოდა, დანამდვილებით კი, პარტიის ერთიანობის და ძლიერების მტკიცე საფუძველზე დამყარებული.

მართალია, პარტეიტაგის დამთავრებისთანავე პარტიას ერთი რევიზიონისტი მწერალი რიჰარდ კალვერი მოშორდა, ახალი საორგანიზაციო წესდება პარტიაში აზრთა თავისუფლებას სპობსო, მარა ეს ხომ რევიზიონისტთა მუდმივი ფანდია, რომლითაც ისინი დაჟინებით, თუმცა ნაკლები ხელოვნებითა და ნაყოფით პარტიის რევოლიუციონური ტაქტიკის დასამარებას და ბურჟუაზიულ პარტიათა ჯოგში გათქვეფას ელტვიან. კალვერის პარტიიდან გასვლა ეს ახალი ისარია რევიზიონისტთა ბანაკში გადასროლილი!

რა არის ღირსშესანიშნავი ამ პარტეიტაგზე? როცა უცხოელი მას პირველათ თვალს გადაავლებ, ერთი განცვიფრებს: ეს მოხუცთა პარტეიტაგია. აქ ხედავთ პარტიის ხანგრძლივ ბრძოლაში გაჭაღარავებულ დიდსა და პატარა მეთაურთ. აი ზინგერი, ეს ვეებერთელა და პარტიაში ძლიერ საყვარელი მოხუცი, თავისი არაჩვეულებრივ ნიჭითა და თავდაჭერილობით პარტეიტაგებისა და გამგეობის ერთ-ერთი უცვლელი თავმჯდომარე. ტრიბუნასთან ახალ ზალის შუაგულში გამგეობის სტოლს პარტიის ოფიციალური მეთაურები უსხედან. ხანდისხან ბებელიც გამოჩნდება—ეს პარტიის ნამდვილი მეთაური და საუკეთესო ორატორი, რომელიც დროთა ვითარებას ძლიერ მოუტეხია და ის წელში მოხრილი. პარტეიტაგზე სიჩუმეს არჩევს, ჩემი დრო გაჰქრაო. მხოლოდ ორჯერ წამოდგა და ისიც ადგილიდან ორიოდე სიტყვას ეუბნება პარტეიტაგს. მის პირდაპირ მოლკენბურია—ეს თუმცა არა ბრწყინვალე, მარა თავით ფეხამდე მებრძოლი ორატორი. ყოველი მისი სიტყვა ფოლადივით მჭრელია, და, იშვიათია დელეგატი, მისი მოუსმენლობა გაბედოს. ამ მხრივ კი პარტეიტაგის ყურადღების მოპყრობა ძალიან ძნელი საქმეა: აქ გულდასმით მხოლოდ ცნობილ ორატორთ უსმენენ! მის გვერდით ხანში შესული ქალი გამგეობის წევრი ციცი ზის. მისი მუდამ დაფიქრებული პირისახე აშკარათ ამბობს ქალთა შეკავშირება ძნელია, ჯერ ცოტა მოვასწარითო! ქვევით საკანტროლო კომისიის თავმჯდომარე კადენია, რომელიც ტრიბუნისაკენ ძლივსღა მიჩოჩავს, რომ თავისი პარტიული ვალი აასრულოს და საკანტროლო კომისიის მოქმედება გააცნას პარტეიტაგს ან თავისი ორგანიზაცია სხვადასხვა თავდასხმისაგან დაიცვას, კადენის აქით, მარცხენა მხარეს, სახელგანთქმული და პარტეიტაგზე საუკეთესო ორატორი ლედებურია. იქით, შორს, ფრ. მერინგი და კ. კაუცკი მოსჩანან—ეს პარტიის ორი თეორეტიკოსნი. გვერდით მარჯვენა მხარეს რევიზიონისტთა მეთაური ფოლმარი თავისი მუდმივი თანამგზავრი ცოლით მოთავსებულია—ეს საფრანგეთის ომში დაჭრის შემდეგ დასაპყრებული მებრძოლი მას ლაპარაკი ძალიან უძნელდება, ამ როლს მის გვერდში მჯდომი დავილი ლაფრანკი ასრულებენ, რომელნიც აქ რევიზიონისტთა სამების დადგენილებას პარტეიტაგზე გაფანტულ მოაზრეთ აცნობენ და კრიტიკულ წუთში მათ საბრძოლველათ იშველიებენ.

მოკლეთ, პარტეიტაგი საშვალოთ 45 წლისა მაინც იქნება. აქ უმეტესათ განსაკუთრებული კანონის ჟამს მოქმედი წევრებია: პარტია თავის გამოცდილ მებრძოლთ დიდათ აფასებს! აქა-იქ ახალგაზდებიც მოსჩანან—ეს 28—35 წლის ხალხია სულ 10—15 იქნება. ისინი ტრიბუნაზე უმეტესათ მხოლოდ მოზარდთა საკითხის შესახებ საკამათოთ ჩნდებიან, ისე კი, ბრძოლაში გამოწრთობილთ უსმენენ. როგორც წინა წერილში მოვიხსენიეთ, გერმანიის პარტია ახალგაზდებს არ წყალობს—ჯერ ჭკუა და გამოცდილება შეიძინონო. რა გასაკვირალია, რომ აქ ადგილი არ ქონდეს ისეთ შემთხვევათ, რომელიც ზოგ დიდ ქვეყანას ხშირათ ჩვევია: ზოგჯერ პარტიის გავლენიანი წევრებიც კი მუშათა დროშას ზურგს აქცევენ და მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკედლებიან, ან ანარქისტთა რაზმებს ავსებენ და ასე სხვადასხვა მხრიდან მუშათა პარტიას ეომებიან და მის დაფუშვას ცდილობენ.

მოსალოდნელი იყო ამ ბრძოლაში გაწვრთნილი ხალხის პარტეიტაგი საქმიანი გამოდგებოდა. მართლაც, მან ამ მხრივ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა. ის, ვინც იცნობს ზოგი დიდი ქვეყნების სიეზდებს, სადაც 3 კვირის განმავლობაში დღიური წესრიგისა და ცენტრალური კომიტეტის მოქმედების განხილვას ანდომებენ, ყველა პრინციპიალურს საკითხებზე რეზოლიუციებს კი ორ უკანასკნელ დღეს უკამათოთ უყრიან კენჭს, მას არ შეუძლია არ განცვიფრდეს იმ საარაკო ნაყოფიერი მოღვაწეობით, რაც ლეიპციგის პარტეიტაგმა გამოიჩინა. აქ შვიდი დიდი საკითხი და 286 სხვადასხვა წინადადება გაარჩიეს და რეზოლიუციები გამოიტანეს!

შეიძლება იფიქროთ, აქ უკამათოთ უყრიან რეზოლიუციებს კენჭსო! პირიქით, 350 დელეგატისაგან ნახევარმა მაინც მიიღო კამათში მონაწილეობა! მერე როგორ შეუძლია ამ მრავალრიცხოვან კრებას 6 დღის განმავლობაში ამოდენა საქმის გაკეთება? აქ წინდაწინ ემზადებიან და „ზეპირათ“ საქმეს როდი იწყებენ! მთელი წლის განმავლობაში პარტია მომავალი პარტეიტაგის საკითხის გარკვევაშია და მისთვის შესაფერ წინდაწინ მზადებას ეწევა. ეს წინასწარი მუშაობა უპირველესათ პარტიის გამგეობის საქმეა. ის კომისიებს ირჩევს, მომხსენებელთ ნიშნავს და ასე საქმეს ყოველ მხრივ არკვევს, შეცდომა არ დავუშვათო. შეიძლება რევიზიონისტები ან რადიკალთა ნაწილი ამას ხელს უშლიან და ასე პარტიის საერთო მოქმედებას წინ ეღობებიან? პირიქით, აქ ყველა მას ხელს უწყობს—საერთო მტერს შეერთებული ძალღონით ჩავცეთ თავშიო.

**გერმანიის პარტია თავის არჩეულთ ენდობა.**

ეს ნათლათ გამოსჭვივის ყოველი დელეგატი სიტყვა-მოქცევისაგან. საკმარისია პარტიის გამგეობამ რომელიმე წინადადებას მხარი დაუჭიროს, როგორც, მაგ., არაყის ბოიკოტის გარჩევის ჟამს მოხდა, რომ მოწინააღმდეგეც კი მას ემხრობა, გამგეობას ფრიად საყურადღებო მოტივები აქვსო. ამიტომაც არის ყველა იმ წინადადებებს, რომელიც პარტეიტაგისთვის ჯერ ნათლათ გარკვეული არაა, პარტიის გამგეობას მიანდობენ, შენ განიხილე და გადაწყვიტეო! აბა მოდი და ამას შეადარე დიდი ქვეყანა, სადაც გენდობიან მხოლოდ კენჭის ჩაგდების დროს, არჩევის წუთიდანვე კი ბოიკოტით გემუქრებიან, შენ გაბატონებას ელტვიო!

როგორც მოვიხსენიე, დელეგატთა ნახევარი მაინც სხვადასხვა საკითხის გამო თავის აზრს გამოსთქვამს. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ სხდომის წესრიგზე თავს არავინ იცხელებს, ეს თავმჯდომარეთა საქმეაო. მთელ 8 საათს დღეში პარტეიტაგი მართლა საქმეს ანდომებს. აი დელეგატი ტრიბუნაზე გამოჩნდა. მას თავისი სიტყვა ქაღალდზე დაწერილი აქვს, ზეპირათ და მოუმზადებელთ ლაპარაკი პარტეიტაგის აგდებაა, შეიძლება იფიქროთ ასე გამოუცდელი ხალხი იქცევა, სრულიადაც არა,

აუდიენცია მოეხერხებია მეფესთან, მაგრამ ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა. ტოლმაჩევი იმედს მაინც არ კარგავს. ის ახლა სხვა საშუალებას იგონებს, რომ თავის მოღაწეობას სასურველი ელფერი მისცეს. მას დეპუტაცია გაუმზადებია და „თავის ხმოსნებთან“ ერთათ გეგმას ადგენს, თუ როგორ უნდა გამოუცხადონ მას ადესის მცხოვრებთა სახელით მადლობა, ვითომდა „წესიერების აღდგენისა და კრამოლის მოსპობისათვის“. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, სტოლიპინსა და ტოლმაჩევს შორის დამოკიდებულება გამწვავებულია. ბიუროკრატიულ წრეებში ძალიან დაინტერესებული არიან რითი და როგორ დასრულდება ეს თამაში.

**სინოდი დუმის მოქმედების შესახებ.** სინოდმა ეპარქიებს განსაკუთრებული მოწოდება დაურიგა. მოწოდებაში ნათქვამია, რომ 1905 წ. მართლ-მადიდებლობა დასტოვა 10,000 კაცმა. ამის მიზეზათ სინოდი სთვლის სახელმწიფო დუმას, რომელიც ხელს უწყობს ხალხს მართლ-მადიდებლობიდან სხვა სარწმუნოებაში გადავიდეს და კანონ-პროექტიც კი შეიმუშავა ერთი სარწმუნოებიდან მეორეში გადასვლის თავისუფლების შესახებ. ეს კანონ-პროექტი თუ ცხოვრებაში გავიდა, რუსეთი სრულიად დაიღუპება. სინოდი სამღვდელოებას წინადადებას აძლევს გაგზავნონ სინოდში მის უდიდებულესობის სახელზე შუამდგომლობა, რომ კანონ-პროექტი სარწმუნოების თავისუფლებაზე დამტკიცებულ არ იქნეს. მოწოდებას და ცირკულიარს ხელს აწერენ სინოდის ყველა წევრები.

**გენ. დუმბაძის დეპეშა.** გენ. დუმბაძემ ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს ბეკმანს დეპეშა გაუგზავნა, სადაც ის ფინლიანდიის სასამართლოს წინააღმდეგ, როგორც იალტის ჭეშ. რ. კავშირის თავმჯდომარე, თავის გულის წყრომას აცხადებს იმ „შეურაცხყოფის“ გამო, რომელიც „ჭეშმარიტ“ რუს ბულაცელს მიაყენეს აღნიშნულ სასამართლოში.

**სარატოვის დეპუტატების შეკითხვა.** „რ. ვ.“-ის სიტყვით სარატოვის დეპუტატები დუმის მომავალ სესიაში შეკითხვას შეიტანენ სარატოვის გუბერნატორის უკანონო მოქმედების შესახებ.

**ოქტომბრისტთა შორის.** ოქტომბრისტთა შორის ხელახლა წამოყო თავი კითხვამ პარტიული დისციპლინის შესახებ. მემარჯვენე ოქტომბრისტები სრულ თავისუფლებას მოითხოვენ ამა თუ იმ საკითხის ხმის მიცემის დროს, მემარცხენეები კი სასტიკ ფრაქციულ დისციპლინას მოითხოვენ, როგორც ერთათ ერთ გარანტიას პარტიული ტაქტიკის სიმტკიცისათვის. გამარჯვება ამ კითხვაში მემარჯვენე ოქტომბრისტებს დარჩებათ, ვინაიდან მათ მხარს დაუჭერენ ის უპარტიო დეპუტატები, რომელნიც ოქტომბრისტთა პარტიაში ითვლებიან.

**ბომბის აფეთქება პეტერბურგში.** 1 ოქტომბერს 11 საათზე პარმოლოვის ქუჩაზე (ვიბორგის მხარეზე) მოთავსებულ ერთ სახლში აფეთქების ხმა მოისმა. მეზობლები მოცვივდნენ და დაინახეს, რომ სახლს, რომელიც გლეხ სეტნოვს ქონდა დაქირავებული, ფანჯრები სულ ჩალეწილი ქონდა და ცეცხლი ეკიდებოდა. მაშინვე ცეცხლის მქრობელი რაზმი გამოიწვიეს, რომელმაც ცეცხლი მალე ჩააქრო. ვიდი ოთახი, სადაც აფეთქება მოხდა, მთლათ დანგრეულიყო, ოთახის სხვა და სხვა მოწყობილობაც ნამსხვრევებათ ქცეულიყო.

როგორც გამოირკვა, სახლი, სადაც აფეთქება მოხდა, 1908 წ. ნოემბერში ფინლიანდიის რკინის გზის დარაჯს კუპრიანოვს უქირავებია. თავისუფალ ოთახებს მდგმურებს აძლევდა. 30 აგვისტოს კუპრიანოვის ბინაზე დამდგარა ერიქსელინის სატელეფონო ქარხნის მუშა, კუზმა სიტინოვი, 22 წლის. სიტინოვთან ხშირათ მოდიოდა ამხანაგები, რომლებიც მასთან დიდხანს რჩებოდენ. აფეთქების დღეს სიტინოვი ქარხანაში არ წასულა და სახლის პატრონისათვის უთქვამს, რომ უფროსმა ნება მომცა დღეს ჩემ საქმეზე წავიდეო. დილით სიტინოვს ამხანაგი მოსვლია, სახლის პატრონი კი სხვაგან ყოფილა ამ დროს. 11 საათზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აფეთქება მომხდარა. სიტინოვის ამხანაგი მაშინვე გაქცეულა თავის საშველათ. მას სიტინოვიც უკან გაყოლია. პარმოლოვის ქუჩიდან ისინი ნელი ნაბიჯით, რომ ეჭვი არავის აეღო მათზე, მეორე ქუჩაზე გადასულან. მათ პოლიციელები დაეწიენ. სიტინოვმა რევოლვერი ამოიღო და მახლობელი ბაღისაკენ გაიქცა. აქ ის პოსტზე მდგომარე პოლიციელმა დაიჭირა. ის თავში დაჭრილი აღმოჩნდა. სიტინოვმა წინააღმდეგობის გაწევა დააპირა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ის საპოლიციო უბანში მიიყვანეს და გაჩხრიკეს, მაგრამ რევოლვერი თან აღარ აღმოაჩნდა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ სისხლში გასვრილი რევოლვერი ბაღში იპოვეს პოლიციელებმა. ჩვენების ჩამორთმევის დროს სიტინოვმა პასუხის მიცემაზე უარი სთქვა. მან განაცხადა, ყუმბარის აფეთქებამ ყურები დამიშავა და არაფერი მესმისო. ის საავადმყოფოში გაგზავნეს. ექიმების აზრით მისი ჭრილობა საშიშარი არ არის. პოლიცია სიტინოვის ამხანაგებს სასტიკათ დაეძებს, მაგრამ ჯერ მათი კვალისთვის ვერ მიუგნიათ. პოლიციის აზრით, სიტინოვი ეკუთნოდა ჯგუფს, რომელსაც ახლო მომავალში ექსპროპრიაცია უნდა მოეხდინა.

### საზღვარ-გარეთ

**ფერერის დახვრეტის გამო.** ფერერის სიკვდილი თავზარ დამცემ ამბავათ მოევლინა მთელ განათლებულ ევროპას. ევროპის საზოგადოების აზრის ასეთ აზუჩათ აგდებას არავინ არ მოელოდა. პარიზის გაზეთები ხალხს იწვევენ ზიზღი გამოუცხადონ ისპანიის მთავრობას. ბევრმა რედაქციებმა სამგლოვიარო დროშები გამოფინა. ფერერს პარიზში ორი ქალიშვილი ყავს — ერთი არტისტკა და მეორე ქარხნის მუშა. მათ მინისტრ ბრიანს მიმართეს და დახმარება სთხოვეს, მაგრამ შეუბრალებელ ისპანიის მთავრობაზე არაფერმა არ გასჭრა. აი როგორ აგვიწერს ფერერის სიკვდილს „რ. ს.“: ციხე მონჟუინს, სადაც ფერერი იყო დატუსაღებული ჯარის ძლიერი რაზმი იცავდა გენერალის უფროსობით. ფერერი სიკვდილის წინა ღამე სამლოცველოში ჩაკეტეს, რაზედაც მან პროტესტი განაცხადა და აღსარებაზედაც უარი სთქვა. მიუხედავათ ამისა მასთან მოუშორებლათ იდგა ორი ბერი. ფერერის ვექილს ნება მისცეს მასთან შესულიყო და ფერერმა მასთან ერთათ შეადგინა ანდერძი. სიკვდილის წინ მას თვალები აუხვიეს, ჯარის კაცები, რომელთაც ფერერის დახვრეტაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა, კენჭის ყრით აარჩიეს. ფერერი გმირულათ მოკვდა.

ისპანიის შინაგან საქმეთა მინისტრს ფერერის სიკვდილის გამო უთქვამს რომ ანარქისტების მუქარამ არც მთავრობაზე და არც მსაჯულებაზე არავითარი გავლენა არ იქონიაო.

ფერერის სიკვდილის გამო ჟორესის გაზეთმა „ჰუმანიტემ“ პროკლამაცია გამოუშვა, სადაც, სხვათა შორის, შემდეგია ნათქვამი: „პარიზის მოქალაქენო! გამოსთქვით თქვენი აღშფოთება. მადრიდის მთავრობის უსამართლო მოქმედების მსხვერპლი, ისპანიის ერის ერთი საუკეთესო მამულიშვილის სიკვდილი — შურისძიებას მოითხოვს. აშკარა მოქმედების დრო დგება“.

სხვა მოწოდებათა შორის ყურადღებას იქცევს აგრეთვე მოსწავლე ახალგაზდათა კავშირის მოწოდება.

ისპანიის საელჩოს შენობას ჯარის ძლიერი რაზმი იცავს. „ჰუმანიტეს“ რედაქციის წინ შეკრებილი ხალხის ბრბო თანდათან იზრდება. ის ნიშნის მიცემას ელის, რომ ისპანიის საელჩოსაკენ გაემართოს.

30 სექტემბერს ინგლისელმა ჟურნალისტებმა ტელეგრაფის საშვალებით პეტიცია გაუგზავნეს ისპანიის მეფეს, ალიფონს, რითაც ფერერის განთავისუფლებას სთხოვდენ.

**ლიბერალების შეერთება.** გერმანიის ლიბერალები უკანასკნელი წლების განმავლობაში დაიქსაქსენ და ერთი ძლიერი პარტიის მაგიერ სამი სუსტი საპარლამენტო ჯგუფი შეადგინეს. ბიულოვის დამარცხებამ და „შავი ბლოკის“ გამარჯვებამ ლიბერალებს თვალი აუხილა, მათ გადასწყვიტეს შეერთება, როგორც „რ. ს.“ კორესპონდენტი იუწყება ეს სურვილი უკვე სისრულეში მოუყვანიათ ლიბერალებს. „თავისუფალი მოაზრენი“, პროგრესიული კავშირი და სახალხო პარტია უკვე შეერთებულან და ერთი დიდი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია დაუარსებიათ. გეიდელბერგში მათ პარტეიტაგი მოიწვიეს, სადაც ეს შეერთება საბოლოოთ განმტკიცდა. პარტეიტაგმა დაადგინა, რომ ჯგუფები ადგილობრივ კითხვებში ავტონომიური უფლებით იქნებიან აღჭურვილნი; მხოლოდ ისეთ საკითხებში, რომლებიც მთელი სახელმწიფოებისათვის ფრიად მნიშვნელოვანათ არიან ცნობილი, ადგილობრივი ჯგუფები უნდა ემორჩილებოდენ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებებს.

## ახალი ამბები

**ექ. ტრიანდაფილიდისის მოტაცება-მოკვლის საქმე.** როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან 2 ოქტომბერს ბათუმში დაიწყო ექ. ტრიანდაფილიდისის მოკვლის საქმის გარჩევა. საქმეს არჩევდა კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლო და გასტანა 3 დღეს. 5 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ბ. რამიშვილს, კ. ჯღენტს, ი. ჯინჭარაძეს, პ. დოლიძეს, ცინცაძეს, თავდიშვილს, იუნიუს რეჯებ-ოღლის, ალი რეჯებ-ოღლის და ხასან რეჯებ-ოღლის მიესაჯა ჩამოხრჩობა, ხოლო დანარჩენთ: რევიას (ექიმის ყოფილი ხელზე მოსამსახურე), ბაიდურ სელი-ოღლის, მამედ კადიმ-ოღლის და ახმედ კატილ-ოღლის სამუდამო კატორღა.

**— ოზურგეთის რეალური სასწავლებელი.** ჩვენ დანამდვილებით გავიგეთ, რომ ოზურგეთის მომავალი რეალური გიმნაზიის განაჩენები ყველა დაუმტკიცებიათ. ეს განაჩენები იყო გურიის ყველა 25 საზოგადოების მიერ შედგენილი განურჩევლათ წოდებისა. ამრიგათ მთავრობის მხრივ აღარაფერი დაბრკოლება აღარ არის და იმედია გურულები თავიანთ განაჩენს სისრულეში მოიყვანებენ.

**— მოუსავლობა ქუთაისის გუბერნიაში.** ქუთაისის გუბ. მეურნეთა სიეზდზე 4 ოქტომბრის კრებაზე გამოირკვა, რომ მთელ გუბერნიაში წელს საშინელი მოუსავლობაა. განსაკუთრებით — რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში, სადაც მცხოვრებნი თურმე ნაყიდი პურით იკვებებიან. კრებამ დაადგინა ყველა ეს აცნობოს სახ. დუმის დეპუტატს ევ. გეგეჭკორს.

**— გაზეთი „ზაკავკაზიე“** გუშინ არ გამოსულა. მიზეზი ის არის, რომ ასოთამწყობთა და რედაქციას შორის უთანხმოება ჩამოვარდა. ასოთ-ამწყობებმა ორშაბათს შეწყვიტეს მუშაობა. გაზეთი გუშინ დაიბეჭდა მეტეხის ციხის სტამბაში და დღეს გამოდის მორიგი ნომერი.

**— ნ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეი.** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის 3 ოქტომბრის კრებამ, რომელსაც, გარდა გამგეობის წევრებისა დაესწრენ სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები, გადაწვიტა საუბილეო დღესასწაული გამართოს 29 ნოემბერს ამ დღეს, დილით გაიმართება იუბილეი, ხოლო საღამოს წარმოადგენენ, „ორი ობოლი“-ს და „დაქცეული ოჯახის“ უკანასკნელ მოქმედებებს და „ხანუმას“ 1 მოქმედებას. მეორე და მესამე აქტის შუა იუბილიარს მიულოცავენ. კრებამ აირჩია საუბილეო კომიტეტი. — კნ. ე. ორბელიანისა, კნ. ან. მაჩაბელი, ელ. ჩერქეზიშვილისა, ალ. სარაჯიშვილი, ნ. ქართველიშვილი, ანდ. ღულაძე, პ. გოთუა, ნ. ერისთავი, მ. კილოსანიძე და კ. მესხი. კომისიას ევალება ხშირათ გამართოს კრებები, რომელზედაც, თუ საჭირო იქნება მიწვეულ იქნებიან გარეშე პირნიც; ვისაც იუბილეიში მონაწილეობის მიღება სურს უნდა განუცხადოს საუბილეო კომიტეტს ორი დღით ადრე.

**— დეპუტ. ევ. გეგეჭკორი** გუშინ ღამის მატარებლით ტფილისიდან პეტერბურგს გაემგზავრა.

**— დაპატიმრება.** ამ დღეებში სოფელ აკეთში დაატუსაღეს მასწ. არსენ წითლიძე და მოათავსეს ოზურგეთის საპატიმროში. მიზეზი დატყვევებისა გამოურკვეველია. როგორც ამბობენ, მას ადრე გაანთავისუფლებენ.

**— ღარიბთა თავშესაფარი.** ძმ. ზუბალაშვილების სახელობაზე არსებულ ღარიბთა თავშესაფარის გამგე კომისიამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა გააფართოვოს ელექტრონის სადგური, რისთვისაც უნდა შეიძინონ ახალი მანქანა «ოტტო დეიტის» სისტემისა. ამისთვის საჭირო თანხა 4,400 მან. კომისიამ უკვე გადასდო.

**— ნამესტნიკის ჩამოსვლა.** «კავკაზის» სიტყვით კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი ჩამოვა ტფილისში ხვალ, რვა ოქტომბერს, საღამოს მატარებლით.

**— სასადილო ღარიბთათვის.** 1 ოქტომბერს სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ თავის საკუთარ შენობაში აბას-აბათის მოედანზე გახსნა უფასო და იაფ-ფასიანი სასადილო. მიიღეს უფასო 100 მოსწავლე ტფილისის სკოლებიდან. ამათ გარდა უფასოებს არ მიიღებენ. საქველმოქმედო საზოგადოებას განზრახვა აქვს მიმართოს შემოწირულებისათვის სხვადასხვა საზოგადოებებს და კერძო პირთ რათა შესაძლებელი გახდეს ღარიბ მოსწავლეთა გამოკვება.

**— ნორმალურ დასვენების შესახებ.** მოსკოვის ცნობილმა ამხანაგობამ „შრომის დახმარე მუზეუმმა“ მიმართა ქალაქის გამგეობას აცნობოს, თუ რა გავლენა იქონია სავაჭრო დაწესებულებებში მომუშავეებზე 1906 წ. 15 ნოემბრის კანონმა ნორმალურ დასვენების შესახებ — მოახდინა თუ არა რაიმე ცვლილება ვაჭრობის მსვლელობაზე ხსენებულმა კანონმა და რამდენათ გატარდა ის ცხოვრებაში და რა და რა ნაკლულევანება აღმოაჩნდა თან.

**— სტიპენდია.** ავლაბრის საქალაქო პროგიმნაზიასთან დაარსდა ერთი ახალი სტიპენდია ა. ს. პუშკინის სახელობაზე. სტიპენდია მიეცემა იმ მოსწავლეს, რომელსაც დაუმთავრებია ქალაქის პირველდაწყებითი სკოლა.

**— ქართული თეატრი.** შაბათს, 10 ოქტომბერს ქართულ თეატრში მეორეხელ დაკლებულ ფასებში წარმოდგენილი იქნება ოსტროვსკის „უდანაშაულოთ დასჯილნი“.

**— შეპყრობა.** 5 ოქტომბერს პოლიციამ დააპატიმრა გორის მაზ. მცხოვრები ნიკ. შელუთაშვილი და გუბეშორის მაზ. — ალ. სენიკაძე, რომელნიც ადმინისტრატიული წესით გაგზავნილი იყვენ საგ.-გუბერნატორიდან.

**— ინტერნაციონალური წარმოდგენა.** დღეს, 7 ოქტომბერს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება, მოლოროსიულათ, „ბუვალშჩინა“ და „კუმ მირომნიკ“ ქართულათ: „ჭკუისა მჭირს“, სომხურათ: „ბებრებს დარიგება“. დასასრულ გაიმართება „საკონცერტო განყოფილება“, რომელშიც სხვათა შორის ნ. გაბუნია-ცაგარლისა იმღერებს ქართულ ხმებს. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**— საჭირო განმარტება.** „მომავალის“ გუშინდელ (32) ნომერში შეცდომით დაბეჭდილია ავლაბრის თეატრის რეცენზია. ეს რეცენზია დაწუნებული იყო და არ უნდა დაბეჭდილიყო, მაგრამ შემთხვევით სხვა დასაბეჭდ მასალებს გაყოლოდა, ამ რიგათ, სრულიად მოულოდნელათ კიდევაც დაიბეჭდა. რედ.

**დიდუბე.** დღეს ჩვენ ვამჩნევთ ამდენხანს არყოფილ მისწრაფებას თვით-განვითარებისკენ. თუ ამ მოვლენას წინათ ვამჩნევდით მხოლოდ ინტელიგენციასა და საზოგადოთ მაღალ კლასებში, ახლა მისწრაფება-წყურვილი თვით-განვითარებისა საშინელი სისწრაფით ედება დაბალ კლასებს. ჩვენ ვხედავთ თითქმის ყველა ქალაქებში, დაბებში და სოფლებში როგორი სისწრაფით მრავლდება ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, იწერენ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს და სხვას.

ცოდნა რომ საუკეთესო იარაღია „წყეულ კითხვის“ გადაჭრაში, ეს შეიგნო ყველასაგან მივიწყებულმა მუშათა კვარტალმა, დიდუბემაც და აი, დღეს მანაც განიზრახა დაიარსოს თითონვე ბიბლიოთეკა-სამკითხველო. მის დაარსებაში მონაწილეობენ ყველა, განურჩევლათ რწმენისა და ეროვნებისა. უკვე შესდგა დამფუძნებელთა ჯგუფი 24 კაცისაგან, რომელიც შეეცადა პირველ ყოვლისა ბინისათვის, რაც უკვე აღმოაჩინა.

ბ-ნმა ალალო თუთაევმა დიდი დვაწლი დაგვდო დიდუბის მცხოვრებთ, მან 1 წლით უსასყიდლოთ დაგვითმო ბინა და სამკითხველოს პასუხისმგებლობაც თითონვე იკისრა გენერალ-გუბერნატორის წინაშე. შუამდგომლობა ნებართვისა უკვე აღძრულია ვისთანაც ჯერ არს და ნებართვაც გვექნება ამ ახლო მომავალში, მაგრამ აი საქმე რაშია: ნებართვა, ბინის შოვნა და წევრების აღმოჩენა, ეს ყველა ისეთი ძნელი როდია, როგორც საქმის გაძღოლა და სასურველ ნიადაგზე დაყენება. მწარე გამოცდილებით ვიცით, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში ბევრი ბიბლიოთეკა-სამკითხველოები დაარსებულა ჩვენს ქვეყანაში, მარა საუბედუროთ, ბევრი ისევ ჩაბარებია არქივს. მიზეზი? უფრო ხშირათ წევრების გულგრილობა და გამგე მმართველების ზარმაცობა. ზოგიერთები ფაქტიურათ თუმცა არსებობენ, მარა რაღა იმისთანა არსებობას, როცა წიგნები დიოგენის ფარნითაა საძებარი და თუ არის, ისიც დახეულ-დაფლეთილი. აი რას უნდა უფრთხოდეს დიდუბელები და რა უნდა შეადგენდეს მათ მთავარ მოვალეობას. ამისათვის საჭიროა ენერგია და ენერგია, მასთან შეხვევა შიგ მუშაობისა, საჭიროა ბევრი წევრები, მეტი თანაგრძნობა. ყველა წევრის მოვალეობას უნდა შეადგენდეს იზრუნოს ამ სულიერ საზრდოსთვის, მის განმტკიცებისთვის და მის საუკეთესო ნიადაგზე დაფუძნებისთვის. ეჭვს გარეშეა, რომ საზოგადოება სიმპატიით მოეპყრობა ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს. ამდენხანს დიდუბელები მოკლებული იყო ასეთ დაწესებულებებს. ქალაქში სიარული მათთვის მოუხერხებელი იყო და არის და აგრეთვე ნაძალადევშიაც, სხვადასხვა პირობების გამო. ახლა კი, ჩვენს დიდუბეს ექნება ახლო მომავალში ბიბლიოთეკა-სამკითხველო საკუთარი, რომელიც ჩემის აზრით, საუკეთესო ნაბიჯათ ჩაეთვლება დიდუბელებს კულტურისაკენ და ჩვენ სულით და გულით ვუსურვებთ წინსვლას ამ მიუცილებელ კულტურულ დაწესებულებას.

ალ. ზაგლობა.

### სახალხო კულტურული საქმე ქუთაისში.
### (სამეურნეო გამოფენა).
### II.

ნაქსოვ-ნაქარგავთა განყოფილებაში მნახველის ყურადღებას იპყრობს კერძო პროფესიონალურ შკოლის, მინადორა დუნდუას მოწაფეების ნაქარგ-ნაქსოვები, სხვადასხვა სურათები, ეკრანებსა, სტოლსაფენებზე გამოყვანილნი, კრუჟავები და სხვა. ამ შკოლის გამგეს და გურიიდან, ჩოხატაურის სამრევლო შკოლის გამგეს თავიანთი ნაწარმოები ამხანათ პეტერბურგშიც ჰქონიათ გაგზავნილი გამოფენაზე. სოფლის პროფესიონალური შკოლებიც არ ჩამორჩენილან ამ საქმეში და მათი ნაწარმოებიც კაი ძალია გამოფე-

თვით ლედებური და ზინგერიც კი ამას წმინდათ ასრულებს. აი მოლაპარაკე თავის 10 წუთის განმავლობაში — აქ მხოლოდ 10 წუთს ლაპარაკობენ — სავსებით საკითხს უტრიალებს, პარტეიტაგს კითვიდან გადახვევით დრო არ წავართვათ, და უმეტესათ ცოცხალი ფაქტებით თავის აზრს იცავს, ასე და ასე მოვიქცეთო

**გერმანიის პარტია მართლა საქმის ხალხია!**

თავისთავათ ცხადია, ასეთი ხალხი მოწინააღმდეგის შემთხვევითი კენჭით დატუქსვას არ შეეცდება. პარტეიტაგის პირველი მოვალეობა შეთანხმებაა, შეთახმება არა მარტო წვრილმან საკითხებში — ამაზე კამათიც მეტი საქმეა — თვით პრინციპიალურ საქმეშიაც კი. ასე იქცევა არა მარტო ლეიპციგისა, თვით დრეზდენ-ნიურენბერგის პარტეიტაგიც. მხოლოდ მაშინ, როცა რომელიმე მიმდინარეობა მართლაც პარტიის სულს ებრძვის და მისი გამოცდილი ტაქტიკის დასამარხებას ელტვის, მხოლოდ მაშინ პარტიის დიდი უმრავლესობა თავის კანონიერ უფლებას მიმართავს და მოწინააღმდეგეს თავის ადგილას უჩვენებს აქ პარტიის საზღვარიაო. ამიტომაც არის, რეზოლიუციებს ან ერთხმათ, ან დიდი უმრავლესობით იღებენ. თვით დრეზდენ-ნიურენბერგის „მებრძოლი“ რეზოლიუციებიც კი $^2/_3$-ზე მეტმა უმრავლესობამ მიიღო. რა გასაკვირალია, რომ ასეთ პარტიაში ადგილი არ ჰქონდეს ისეთ მოვლენათ, რომ 5 შემთხვევითი კენჭით 4-ის წინააღმდეგ პარტიის დიდი უმრავლესობის და უმაღლესი დაწესებულებების კანონიერ მოთხოვნილებას ფეხ-ქვეშ სთელვენ და რასკოლს ახდენენ!

პარტეიტაგი მებრძოლ ძალთა შეთანხმებას ცდილობს. ამიტომაც იყო ათასჯერ გადაჭრილ საკითხებს ის ხელმეორეთ არ უბრუნდებოდა დრეზდენ-ნიურენბერგიც კმაყოფილდება, რევიზიონისტებს საკმაოთ ვასწავლეთ ჭკუაო. აი სათავე ზოგი ბურჟუაზიული ორგანოს ლაყბობის, ლეიპციგის პარტეიტაგი „რევიზიონიზმისაკენ გადიხარაო“. ეჭვი არაა, ამ სასიხარულო ამბავს რუსეთის კადეტური და „პროფესორთა“ ორგანოებიც გადაბეჭდავენ და დიდი ზეიმით გამოაცხადებენ, ჩვენ ვართ და ჩვენ — „ინტერნაციონალური“ ლიბერალები ქვეყნის მარილი, თქვენ კუდში გამოგვყევითო. ჩვენმა მკითხველმა, რომელიც პარტეიტაგის მუშაობას გაეცნა, უკვე იცის პარტეიტაგის ნიზმი“.

მთელი პარტიული პრესა სიხარულით შეეგება პარტეიტაგის ნამოქმედარს და სხვადასხვა სიტყვით და სახით „ფორვერტს“-ის შემდეგ სიტყვებს უერთდება: „კარგ დასაწყისს ლეიპციგის პარტეიტაგმა კარგი დასასრულიც მიაყოლა“-ო.

გერმანიის სოციალდემოკრატიას მთელი ინტერნაციონალური სოციალდემოკრატია უგდებს ყურს, სთქვა კ. კაუცკიმ მაისობაზე კამათის დროს. მეც მგონია ლეიპციგის პარტეიტაგის გაკვეთილებს დაბეჯითებით მოისმენს ის, ვისაც ყური აქვს სმენათ.

**დროებით საზღვარ-გარეთელი.**

ნილი. მაგ. მაღლაკიდან ანნა ც-გარეიშვილს და სოფიო ჟორჟოლიანს წარმოუდგენიათ თავიანთი ნაკეთები აბრეშუმის ქსოვილები დაჯაგრეთვე მატყლის, ძაფის და ღანზლისაგან მოქსოვილი ნოხ-ფარდაგები, დიდი-ჯიხაიშიდან ქეთევან ლეჟავას აქვს ნოხები, ფარდაგები და აბრეშუმეული მატერიები. საუცხოვო სანახავია კულაშის საქალებო შკოლისაგან წარმოდგენილი დიდი ოქრო-მკედით ნაქარგი სურათი თამარ მეფისა. იგი თითქოს ცოცხალი გეჩვენება. ამგვარათვე სურათები თამარის და შოთასი აქვს წარმოდგენილი კერძოთ ქ-ნ ელენე ჯაფარიძეს, რომლის დანარჩენი ნახელავი ნივთები საკმაოთ განირჩევა სხვებისაგან და იპყრობს მნახველის ყურადღებას. აგრეთვე საუცხოვო ნაკეთები აქვს გამოფენილი ქუთაისის რომის—კათოლიკეთა შკოლას, რომელსაც წარმოდგენილი აქვს სხვათა შორის ერთი დიდი ოქრო-მკედით ნაქარგი სურათი საქართველოს დერბი, რომელზედაც ყალყზე დამდგარი ორი ლომი, ხმლები და სხვა რეგალებია ამოქარგული.

ამავე სახელოსნო განყოფილებაში გამოფენის გამგეებს მოუთავსებიათ, უეჭველია, დასამშვენებლათ, თორემ რა სამეურნეო ნაწარმოებია ცნობილ ზინგერის საკერავი მაშინები, რომლებიც ფაბრიკულ ნაწარმოებს წარმოადგენს და არა კუსტარულს. ზინგერის ფირმას და ა. თაბაგრის საკერავ და ჩულქების საქსოვ მანქანებს ორი საგანგებოთ გაკეთებული და საუცხოვოთ მორთული პავილიონები უჭირავთ. მართალია, თაბაგარს კიდევ მოუგვარებია გამოფენისათვის თავის გამოსაფენი ნივთები და აქვე მნახველებს უხსნის, ასწავლის ხელის საქსოვ მანქანაზე მშვენიერ ჩლუქების, კაცის წინდების ქსოვას. აქაურ განყოფილებასვე ამშვენებს ვარშაველ მუნჯთა ხის ნაწარმოები პატარა ჩუქურთმიანი ხონჩები, თეფშები, კალმის ტარები, სამელნე, პირსახოცის და სხვ. ღასაკიდები, სათუთუნე და სხვა მაგიდის დასამშვენებელი ნივთები. ესენი მართლა მშვენიერი ნივთებია.

საკუთრათ სამეურნეო ნაწარმოები რომ ქვია, მაგალითად, მეხილეობა, პურის მცენარეულობა, თესლები, ბალახეულობა, მეთამბაქოობა, მევენახეობა, მეღვინეობა, მეფუტკრეობა, მეაბრეშუმეობა, მექათმეობა, მერძეობა, მებაღეობა და სხვ. მისთანები—გამოფენაზე ძალიან და ძალიან კოჭლობენ. აქ, მართალია, თითო-ოროლა თავი ყველაფერია, ზოგი კერძო კაცების ქალაქებში, მაგ. ღვინოები გ. კემულარიას მამულიდან, მაგარი სასმელები ტ. გაბუნიასი, კარგი ხეხილები ართვინის და ებიაზიკონის შკოლებისა, უცხო ჯიშის ქათმები ლუბერნატორის, ექიმ ვ. ქიქინაძის ს. ჰოლეგბიდან (ყველას ჯობია), ქუთაისში მექათმეთა საზოგადოების, რომლებიც სხვებისაზე ნაკლებია, ზოგიც სამაგალითო შკოლების. მხოლოდ, კიდევ ვიმეორებთ, ამ დარგებში ტიპიური, სახალხო ნაწარმოები გარდა ორიდ კვახისა ტყიბულიდან (მიხ. კბილაძის მიერ წარმოდგენილი), ორიოდ ძირი ყურძნიან ვენახისა ჯიხაიშიდან და ათიოდე ოკრიბულ თუ ბელაგორულ დოქ-ქოთნებისა აქ ვერას შეხვდებით. ერთი სიტყვით, იმერული სასოფლო სამეურნეო გლეხის ნაწარმოებს ქუთაისის ყაფნებსა და მწვანე ბაზარზე უფრო მეტს შეხვდებით ყოველ-პარასკეობა-კვირაობით, ვინემ ჩვენი მოხელეების მიერ გამართულ გამოფენაზე. სოფლელების აქ არაფერია. ზოგიერთ კერძო დიდრონ მემამულეებსაც, მაგ. ქუთაისის მახლობლათ თ-დ. პეტრე წულუკიძეს (თვით სპეციალისტ—მეურნეს) კვახჭიროდან, ანანოვებს აჯამეთიდან, სამეკრელოდან პრინცესა მიურატს, რომელიც, როგორც გამოირკვა მეურნეთა სექციების კრებებზე, ისე კარჩაკეტილათ ეწევა ტეხნიკურათ გაუმჯობესებულ მეურნეობას, რომ მის გარშემო მცხოვრებ და მის ბაღებში მომუშავე გლეხებს ერთსაც ვერავითარი გაუმჯობესობა ვერ შემოუღიათ თავიანთ მამა-პაპურ მეურნეობაში. თურმე მისი ბაღიდან დამყნილი ვენახით, ხეხილებითაც ვერავინ სარგებლობს. ასე დახშულ, კარჩაკეტილ მეურნეობას თურმე ეწევა ეს მსხვილი გაევროპიელებული მემამულე. ისიც კი თქვეს კრებაზე, რომ იგი მთავრობისაგან ამისათვის სუბსიდიასაც კი ღებულობსო. ეს თუ მართალია, კაი კულტურტრეგერები აღმოსჩენია ჩვენ ქვეყანას შინაურებშიაც კი! საუფლისწულო მამულების კარჩაკეტილობას კახეთსა და ჩვენში რაღა უნდა გაუწბილოთ?! უკეთეს მოპყრობას ამ ბიუროკრატიულ კულტურტრეგერებისაგან ვერც ქართლ-კახელი ტეტია ღირსულობს და ამიტომაცაა, რომ კახეთში საუკეთესო საუფლისწულო მამულების გვერდით მეურნეობას ისევ ძველებურ-მამაპაპურ ყაიდაზე ეწევიან. იქაურ ბეჩავ ტეტიასაც ვერ მოუხერხებია, ან არ მოახერხებინეს, რომ მის თვალწინ სამაგალითო მეურნეობიდან რაიმე შეიძინოს და თავის მეურნეობა გაიუმჯობესოს აი ამნაირია ეს ბიუროკრატიულ-„კულტურული“ დაწესებულებანი და თქმა არ უნდა, ხალხს, გლეხ-კაცს იმათგან არა ეძინება, მისთვის ყველანი უსარგებლონი არიან და აკი ალმაცერათ უყურებენ მათ ნამოქმედარს...

გამოფენის შესავალში ერთი კოხტა მოზდილი კიოსკი უჭირავს ტყის და მადნეულობის განყოფილებას. აქ სახელმწიფო ქონებათა მართველობას დაუგროვებია რაჭის, ბათუმის ოლქის, აჭარის და ართვინის ტყეებში ნაზარდ ხეების ნიმუშები ნამორების, კუნძებით, შტოების და ნაფლეთების სახით. რაჭის ტყის ნამორები მართლაც სიმრგვალით შესანიშნავნი არიან მართლაც. რაჭასა და სვანეთში ხელუხლებელი ტყეები ნაძვის ფიჭვის, წიფელის, ცაცხვის, ბზის და სხ. ძალიან ბევრია, მაგრამ მათი სარგებლობა უგზოობის გამო აქამდე ვერავის მოუხერხებია.

ამ ჟამათ ჩამოსულნი არიან აქ და სვანეთში ტყეების დასათვალიერებლათ წავიდენ ბავარიის მსხვილი კაპიტალისტები, რომლებიც მალე გზას გაუხსნიან ამ მივარდნილ ადგილების კარჩაკეტილობას და დიდი თანხებით საქმეს გაჩარხვენ. ისინი ცხენისწყლით აპირებენ ამ მასალის ზღვის პირათ ჩამოტანას.

„ხე-ტყის ნიმუშების გამომფენს ამ დარგის სპეციალისტობა ბევრში არ ეტყობა: გამოფენილი ნიმუშები უსისტემოთ არის დალაგებული, ბევრი მათგანი სრულიად უწარწეროთ არის, რუსულ-ქართული წარწერებიც ბევრზე სინამდვილით არ არის აღნიშნული, განსაკუთრებით ქართული წარწერები არ შეეფერება რუსულს, მაგ. Грабъ-ს ჩვენებურათ რცხილა ქვია, აქ კი წარწერილია რცხმელა, Ель—ნაძვია, აქ კი წერია ერთ ალაგას ნაძვი, მეორეს—ნაადძვი, Букъ—წიფელაა, ტყის სპეციალისტს კი წიჰელა დაუწერია რუსული ზედწარწერის ქვეშ ქართული ასოებით, თითქოს ვინმე გადამთიელი რუსი ყოფილიყოს, ჯიშების დამწერს Кленъ—მეკენჩხალია—მცოდნეს კი დაუწერია—ნაკერჩხალი, ლეკემჩხალი; Бузина-ს იმერელი ანწლს ეძახის—გამოფენის სპეციალისტი კი თარგმნის თხიფსელათ და სხ. ამგვარ „სამეცნიერო“ ტერმინოლოგიითაა აჭრელებული ქუთაისის სამეურნეო გამონაფენები. საჭირო კი იყო ყოველივე აქ გამოფენილების ან სამეცნიერო, ლიტერატურული ან სახალხო ხმარებაში შემოღებული ქართული სახელწოდება ყოფილიყო ყოველივე ნაწარმოებზე, რომ მნახველებს ადვილათ გაეგოთ რა არის ესა თუ ის ნივთი, ნაწარმოები. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ ექსპონატებს ამხსნელები ან სულ არ ახლავან, ან ვინც არიან ნაკლებათ უხსნიან მნახველებს გამონაფენებს. ამასვე ხელს უშლის ექსპონენტების მონაწილეობა, თითქმის მთელი დღე, მეურნეთა კრებებში და მაშასადამე, გარდამეტებული დაღლილობა, მოუცლელობა ხელმძღვანელებისა თან დაყვა გამოფენასაც.

გამოფენის სამეურნეო ნაწილს ერთგვარი დამშვენებულია გურიიდან თ-დ მიხეილ ნაკაშიძის გამოფენილი ნაწარმოები თავის საკუთარ მამულისა. ამ თავადს, ეტყობა, კარგათ შეუგნია, რომ მამაპაპურათ მამულის დღეს წარმოება არა თუ შეუძლებელია, საზარალოცაა და ამ საშვალებით მისი შერჩენაც საეჭვოა. ამიტომ მას ხელი მიუყვია საამდროვო ტეხნიკა მიეშველებინა თავის მამაპაპური ქონებისათვის და ინტენსიური კულტურა შემოეღო შიგ. ამ მიზნით მას მამაპაპური ნაქები «ჯანის» და «ჩხავერის» ვენახი ამერიკულ რიპარიაზე დაუმყნია და იმით ექვსი დესიტინა ვენახი გაუშენებია, რომლის ნიმუშებს ერთი კიოსკი უჭირავს გამოფენაზე. აქ არის მთელი ძირ-ფესვიანი ვენახი «ჯანისა», რომელსაც ოცხმოცი მეტი ორი სამ გირვანქიანი მტევნები კიდია, რომელთა დანახვა ნერწყვს გვრის ადამიანს და გასინჯვა გენატრება. ჩვენებურ ხეხილებთან ერთათ მეურნეობისათვის მრეწველობის-სარგებლიანობის (და არა ქეიფობის) მხრით მაყურებელ ამ დროის გურულ თავადს მანდარინების (ფორთოხალია) და ჩაის მცენარის მოვლა-მოშენებისათვისაც მიუყვია ხელი და მართლაც, მის მეურნეობაში ამათაც საკმარისი ადგილი (10 დესეტინა) დაუჭერია მის ექსპონატებში ესენიც თვალსაჩინოთ არის წარმოდგენილი; ჯანის და ჩხავერის ღვინოებთან ერთათ თავადს ჩაიც აქვს გასაყიდათ მოწეული. შემდეგ მისივე მამულის ნაყოფია სხვადასხვა ჩვენებური ხილები და სხვ. ვაშლი, მსხალი, თხილი, ნიგოზი, სიმინდი, ლობიო, პური და სხვ. ამისთანები. ყოველივე ესენი მოწმობენ იმას, რომ ჩვენი დროის თავადს, სხვა ჩვენებურ კუჭის და მამაპაპურ პატივ-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ არ მიუყვია ხელი თავის მამულის გაუმჯობესებისათვის და თუ მას თავის ქვეყანაში მიმბაძველები ბლომათ აღმოუჩნდენ, ე. ნინოშვილის ტიპები „მკლავაძე—ჩვენი ქვეყნის რაინდებისა“ ერთრიგათ გადაგვარდებიან და ეს ხომ პლიუსათ ჩაეთვლებათ თ-დ ნაკაშიძეს მეურნეობის საპიონერო მოღვაწეობაში და ესეც კარგი წყალობაა დღეს-დღეობით.

დასასრულ არ მინდა აღუნიშნავი დავსტოვო მეორე გურულის ნაღვაწი მეურნეობის მეორე დარგის—მეაბრეშუმეობის საქმეში. მე ვამბობ ახლად გამოგონებულ აბრეშუმის ძაფის სართავ „სტანოკზე“, რომელიც გაუკეთებია მასწავლებელს ს. ბუნების კარის სკოლის (გურია) სახელოსნოსას სოლომონ კონსტ. მუხაშავრიას. ამ დაზგაზე აბრეშუმის ძაფის მკეთებელი ათნაირ აპერაციას ასრულებს ერთ და იმავე დროს: აქ იხვევა ძაფი „მატიკებზე“ კოჭებიდან, 2—ართავს, 3, აორფებს და 4—ძახავს. „სტანოკზე“ მოთავსებულია 80 მრუველი ჩერიები. რომლებიდანაც დართული ძაფები გადადიან სხვა კოჭებზე და ამავე დროს ახვევს და აორფებს იმდენ ძაფს, რამდენსაც მოითხოვენ დამრთველი ჩერიები ანუ კოჭები. სტანოკებს სამი არშინი და ათი გოჯი სიგძე, ათი გოჯი განი და ორი არშინი სიმაღლე აქვს. ეს სტანოკი მოძრაობაში მოყავს ხელის ჩარხს ან კიდევ ორთქლის, წყლის ძალას. ეს გამოგონება დიდ ეკონომიას იჭერს აბრეშუმის ძაფის ამოღება-შემზადებაში და თუ იგი სპეციალისტების შემოწმების შემდეგ პრაქტიკული აღმოჩნდა,—გურულ მასწავლებელსაც თამამათ შეუძლია თქვას, რომ მანაც შეიტანა თავისი წლილი მეაბრეშუმეობის გაუმჯობესების საქმეში

გამოფენას თან ახლავს მეურნეთა თავყრილობა (სიეზდი), რომელიც 1 ოქტომბერს გაიხსნა ი. ფანცხავას თავმჯდომარეობით და ოთხ სექციათ დაყოფილი მას აქეთ განაგრძობს მუშაობას. ამათ ნამუშევარსაც ვეცდები გავაცნო მკითხველის, როცა იგი დაბოლოვდება.

ისო.

# პროვინცია

**ს. სამიქაო** (სენაკის მაზრა). ქურდ-ბაცაცებისა და მძარცველ-შანტაჟისტებიდან მოსვენება აღარ აქვთ ისედაც გაჭირვებაში ჩავარდნილ გლეხკაცობას. სხვა საშუალება რომ ვერაფერი გამონახეს, მათგან თავის დასაცავათ დანიშნეს ღამის დარაჯები. ყოველ ღამ ოთხ-ოთხი კაცი სდარაჯობს მთელ სოფელს, მაგრამ არც ამან გვიშველა არაფერი. ნაძირალები მაინც განაგრძობენ თავიანთ საზიზღრო საქმეს.

აქ არსებობს სამინისტრო და სამრევლო სკოლა. წერა-კითხვის მცოდნე სხვა სოფლებთან შედარებით მეტია, მაგრამ ჟურნალ-გაზეთს და წიგნებს ისე გაურბიან, როგორც თათარი ღორის ხორცს. აქაური ინტელიგენტთ ახალგაზდები კარტ-ნარდის თამაშს და ღვინის სმას არიან გადაყოლილნი.

ელუარდი.

**ბორჯომი.** წავიდენ მოაგარაკენი და ბორჯომშიც სიცოცხლე თითქო შეწყდა, ყველაფერი ჩვეულებრივ ამღვრეულ კალაპოტში ჩადგა. აქ რამე კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულება იშვიათია და რომ ამისთვის იზრუნოს აქაურმა ინტელიგენციამ, ამის მაგიერ კარტის და ნარდის თამაშს გაუსვეს ხელი. შარშან შემოდგომაზე აქაურმა სცენის მოყვარეებმა რამდენიმე წარმოდგენა გამართეს და ხალხიც ბლომათ ესწრებოდა. წელს კი იმათაც მიიძინეს. სამაგიეროთ, შანტაჟმა და სხვა ასეთმა საზიზღარმა მოქმედებამ ძლიერ იმატა. გახშირდა უსახელო წერილების წერა. ამას წინათ ბ-ნმა ზ. და ვ. მ სეთი წერილი მიიღეს „არ გაბედო მისი ცოლათ შერთვა, თორემ შაურიანი ცხელი ტყვია შენთვის არისო“. საზიზღარი ხალხმა რაიმე ზომები მიიღოს ასეთ ურცხვ შანტაჟისტების წინააღმდეგ. ამ ბოლო დროს აქ ძლიერ გახშირდა „დაზღვეულ“ სახლების დაწვა. ერთმა მოინდომა თავის სახლის დაწვა და ფულების აღება, წაუკიდა სახლს ცეცხლი და მეზობლებს რომ არ ჩაექროთ მთელი, უბანი გადაიბუგებოდა.

კლდე.

## წერილები რედაქციის მიმართ

პასუხათ ბ. კ. ონიკაშვილს.

„მომავლის“ № 27 ბ. კ. ონიკაშვილმა ჩემ საპასუხოთ წერილი მოათავსა; თავდაპირველად ის მისაყვედურებს იმას, რომ გაზეთები არ მოდის იმდენი, რამდენიც ცნობაში სწერია და ჩვენ კი ფულს გვახდევინებსო. ასე მოქცა გამყრელიძეს, გოცაძეს, კაკაბაძეს და სხვებსო, ესე იგი, გამოდის, რომ მე გაზეთებს ვიპარავ და ონიკაშვილს და მის ამხანაგებს ვახდევინებ.—ონიკაშვილმა კარგად იცის რას წერდა, ისიც კარგად იცის გაზეთები რანაირად იგზავნება და თუ მე ქურდობას მწამებს—ეს ერთნაირი ხერხია, „იქით შეედავე და აქეთ დაგრჩებაო“ ნათქვამია. ჩვენ ვაცნობებთ რედაქციებს ამდენი და ამდენი ნომერი და რედაქციის „სხოტჩიკები“ ცნობის მიხედვით თვლიან გაზეთს, ახვევენ, აკრავენ დაბეჭდილს „იარლიკს“, და აბარებენ გაზეთის გამგზავნელ „ბაგაჟნიკს“ ამ რიგათ იგზავნება გაზეთები და თუ სათვალავში დააკლდა ეს ან „სჩოტჩიკის“ დანაშაულობაა და ან აგენტი სტყუის ყოველ შემთხვევაში, აქ ჩვენ სრულიათ არაფერ შუაში ვართ. ამ რამოდენიმე ხნის წინეთ ჩვენ დაკლებულ გაზეთებს რედაქციებს ვახდევინებდით, რადგან მე ეჭვი მქონდა, რომ რედაქციების „სჩოტჩიკები“ აკლებდენ გაზეთებს. რედაქციებიც დაკლებულს იხდიდენ, მაგრამ დაკლებული გაზეთები დღე და დღე იზრდებოდა—ამან ეჭვი დაგვიბადა რომ გაზეთებს თითონ ზოგიერთი აგენტები აკლებდენ განგებ.—ამიტომ სინამდვილის გასაგებათ რედაქციის წარმომადგენელთან ერთად დავთვალეთ გაზეთები და გავგზავნეთ. სწორედ ამ დათვლილ გაზეთზე მოგვივიდა წერილი: „პაჩკა“ გაუხსნელია გაზეთს აკლია 20 ცალი“, შემდეგში კიდევ დავთვალეთ ასე გაზეთები და დავრწმუნდით, რომ რედაქციის „სჩოტჩიკები“ არაფერ შუაში არ იყვნენ, არამედ ზოგიერთი აგენტები სტყუოდენ—განგებ. ამის შემდეგ აღარაფერ დაკლებულ გაზეთებს აღარ ვქვითავთ რედაქციებს. და თუ თითონ რედაქციები იკისრებენ დაკლებული გაზეთის მიცემას, მე ამისი წინააღმდეგი არაფერი არ მექნება. როგორც ხედავთ, ონიკაშვილს ბრალდება ჩემზედ—სიყალბეა. ბატონი ონიკაშვილი ბრძანებს დაკარგული გაზეთის ფული არ მომიცია და არც მივცემო არც არაფერი მმართებსო. მაშ, რადას მწერდით თქვე დალოცვილო წერილს. გაზეთების მმართებს 20 მანეთი, მალროვეთ ფული და ამ მოკლე ხანში გამოგიგზავნითო. (წერილი, 14 ივლისი 1909 წ.) ამის შემდეგ თქვენ ხომ აღარაფერი გამოგიგზავნიათ? ეგები კიდეც დაგავიწყდათ ასეთი წერილი რომ მოიწერეთ? თქვენ სწერთ რომ თავდებათ „დროების რედაქცია არ დამდგომიაო, მაშ ვინ იყო, ესტატე ავალიშვილი? ავალიშვილი „დროების“ რედაქციის გამგე იყო და მეც ასეთი თავდები მიტომ მოვთხოვეთ, რომ ანგარიში გვქონდა და გვაქვს „დროების“ რედაქციასთან, ავალიშვილს მე ისე ვუყურებდი და ვუყურებ როგორც „დროების“ რედაქციის პატრონს და მიტომაც ვაძლევდი ფოსტს მის თავდებობას სიცრუეა, ისიც გითომ ავალიშვილი მარტო წიგნების თავდები იყო, აი თვით წერილის შინაარსი რას ამბობს:

„...წიგნებითა და ჟურნალ-გაზეთების მოვაჭრე კოტე ონიკაშვილის თავდებობას ვკისრულობ, მხოლოდ თქვენც მოვალე იყავით გაყიდული წიგნებისა და გაზეთების ანგარიში მოითხოვოთ ორ კვირაში ერთხელ“.

ესტატე ავალიშვილი.

აქედან სჩანს, რომ ესტატე ავალიშვილი იყო წიგნებისა და გაზეთების თავდებათ.

ახლა წიგნების ანგარიში.

ონიკაშვილს გაეგზავნა წიგნები 24 აპრილს 1908 წელს წმინდა ანგარიშით 50 მ. 47 კაპეიკის. ამ წიგნებში 12 აგვისტოს, 1908 წ. მივიღეთ ფული 10 მ. ერთი 8 21 კაპ. ერთი. გაუყიდავი წიგნები უკან 8 მ. 82 კ., ერთი 8 მ. 90 კ., მეორე. მაშასადამე, წიგნები უნდა რჩებოდეს ონიკაშვილთან გაუყიდავი 1908 წლის ანგარიშში, 14 მ. 54 კაპეიკისა. ამ რამოდენიმე დღის წინათ მივიდეთ ონიკაშვილისკენ წიგნები, რომლებშიაც ბევრი ჩვენი მიცემული წიგნები არ იყო, ჩვენ დავიკავეთ ის წიგნები, რომელიც ჩვენგან ქონდა წაღებული ხელ [illegible] მ. 1 კ. და თან ვსთხოვე წიგნების მომტანს [illegible] გებიათ სია წიგნებისა, რომ გამეგო დანამდვილებით რომელია ჩვენი და რომელი სხვისი, მაგრამ წიგნების მომტანლებმა ეს არ ინებეს... საიდან გაჩნდა ეს ზედმეტი წიგნები? ეს სულ ადვილი გამოსაცნობია. ონიკაშვილს კერძოთ უყიდია ეს წიგნები და ახლა როდესაც ჩვენი ვალი დაედვა ამ ვალში უნდა გაასაღოს, მაგრამ როგორც ზევით მოვიხსენე წიგნებია წაღებული 50 მ. 47 კ. ონიკაშვილი აცხადებს 47 მ. 30 კ. წიგნებს უგზავნი ახლაო, ონიკაშვილსვე აქვს დაბრუნებული 1908 წ. 18 მ. 62 კ. წიგნები (სია ამ წიგნებისა თვით ონიკაშვილის ხელნაწერი ჩვენთან ინახება). 47 მ. 30 კ. 18 მ. 62 კ.—იქნება სულ 65 მ. და 30 კაპ. გაუყიდული 18 მ. 21 კ. და სულ 83 მ. 51 კ. ამ რიგათ ონიკაშვილს სურს დამიბრუნოს უკან 83 მ. 51 კ. გაუყიდავი წიგნები როდესაც ჩემგან წაღებული აქვს 50 მ. 47 კ. წიგნები—ესე იგი ჩვენ წიგნებს იმის მაგიერათ რომ გაყიდულიყო და მოკლებოდა მომატებია კიდევ 32 მ. 4 კ. წიგნები. რა უნდა ეწოდოს ასეთ საქციელს?

ბ. კ. ონიკაშვილი მისაყვედურებს „ჩანგის“ ხელის მომწერლებზე რატომ არაფერს ამბობო.—„ჩანგის“ ხელის მომწერის ფული გამოგზავნილი მაქვსო, მე რაც ფულს ვღებულობდი ყველას გაზეთის ანგარიშში ვწერდი. თქვენ ვალი გადევთ. 49 მ. ეს „ჩანგის“ იქნება, გაზეთის იქნება თუ წიგნების სულ ერთია—ვალი ვალია და სანამ გასტუმრებული არ იქნება, მანამდის ვერ მიიღებთ თქვენ „ჩანგს“. ხელის მომწერებთან თქვენა ხართ პასუხის მგებელი. რაც შეეხება «ნაკადულის» ანგარიშს, ამასაც მოგახსენებთ: «ნაკადული» ჩვენგან გამოგეგზავნათ 1, 2, 3—4 ათ ათი ნომერი. სულ 13 მ. 60 კ. როცა ანგარიში გავასწორეთ. თქვენ მიიღეთ ფულათ კიდევ 5 მან. ნაღდი. (დავთარში ხელი გიწერიათ სადაც ანგარიშია გასწორებული).

ამის შემდეგ ბ. ონიკაშვილი კიდევ ლაპარაკობს „ნაკადულის“ ანგარიშზე, მაგრამ რა უნდა გითხრათ, როცა არა-რა ბრძანდებით. ამით ვათავებ ბ. ონიკაშვილთან თქვენთან კამათს. თუ რამე საბუთები გაქვთ გასასამართლებელი ესტატე ავალიშვილს გამოუგზავნეთ, რადგან თქვენი ვალი იმან უნდა გადაიხადოს.

მ. გაჩეჩილაძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. მელიქ-შახნაზარიანცი


# განცხადება

**ძსუ ის** სინდისიანი და პატიოსანი ამხანაგი საწვრიმალო და საყასბო დუქანში, ვაგზლის ქუჩაზე აფთიაქის პირდაპირ № 7
ზაქარ დევიძე.

ექიმმა
**ჰ. არდაზიანმა**
განახლა ავათმყოფების მიღება.
მე-2 თუმანოვის ქუჩა № 28—ავჭალის მოედნის კუთხე № 13 ნემეცების სასაფლაოს ახლო. დილით 9—12 სათ. საღამოთი 5—7 ს. (0—თ—22)

გლეხთა ამხანაგობა
„კახეთი“
„Kaxetia“

ამ ეტიკეტით იყიდება ჩვენი ღვინო ყველა საბაკალეინო მაღაზიებში, სასმელების დუქანში, ტრაქტირებში და სასტუმროებში.
10 ბოთლს ზევით უგზავნით ვუმთავრესი საწყობიდან ჩვენის ხარჯით მხოლოდ თფილისში.

По такому этикету продается наше вино во всѣхъ бакалейныхъ магазинахъ и питейныхъ заведеніяхъ.
Свыше 10 бут. доставляется нашимъ подводомъ въ Тифлисѣ.

უმთავრეს საწყობიდან ღვინო დაეთმობათ შემდეგ ფასებში:

| | | | |
|---|---|---|---|
| № 0 бут. | — 15 к. | 16 бут. | — 2 р. 10 к. |
| № 1 „ | — 20 к. | 16 „ | — 2 р. 80 к. |
| № 2 „ | — 25 к. | 16 „ | — 3 р. 60 к. |
| № 3 „ | — 35 к. | 16 „ | — 5 р. 10 к. |
| № 4 „ | — 50 к. | 16 „ | — 7 р. |

Адресъ: Тифлисъ, Русская ул. д. № 7.
Михаилу Николаевичу Кодалову.